№ 2974
პარასკევი,
6 იანვარი

ცნობის ფურცელი

297
პარასკევი,
6 იანვარი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დ[illegible] ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და [illegible] განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

„ცნობის ფურცლის" ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

სამწუხაროდ, 1905 წ. **რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო**, გაზეთი თავ-თავის დროზე არ მისდიოდათ და ზოგჯერ სრულიადაც არ გამოდიოდა. რედაქციას იმედი აქვს ხელისმომწერნი მიიღებენ მხედველობაში გაზეთის თავ-თავის დროზე ბეჭდვის ხელის შემშლელ მიზეზებს და არ დაგვემდურებიან. ამავე მიზეზებისა და აგრეთვე რკინის გზების გაფიცვის გამო „დონ-კიხოტისათვის" დაბარებული ქაღალდი დროზე არ მოსულა, ამისათვის პრემიის დაბეჭდვის გათავება დაგვიანდა. ჩვენ ვეცდებით რაც შეიძლება მალე გავათავოთ დაპირებულ პრემიის დაბეჭდვა და დავურიგოთ ხელის-მომწერთ.

1906 წელს

„ცნობის ფურცელი"

სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ.

დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით **ერთის წლით** 6 მან. **ერთის თვით** 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით **ერთის წლით** 11 მან. **ერთის თვით** 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

„ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი".

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

„ნაპერწკალი"

საოხუნჯო კარიკატურებიანი ჟურნალი

გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით, 4—8 გვერდი. კარრიკატურები დაიბეჭდება **ფერადის წამლებით**. ჟურნალში გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარ ოსკარ შმერლინგისა, თანამშრომლებად მოწვეულნი არიან და მიიღებენ მონაწილეობას მხატვრები—გრინევსკი და როტტერი.

ფასი ჟურნალისა წელიწადში 4 მან., თვეში 40 კაპ., ცალკე ნომერი 8 კაპ.

„ცნობის ფურცლის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ „ნაპერწკალი" გაეგზავნებათ ერთის მანეთის დამატებით, ე. ი. გაზეთის ხელის მომწერნი წლიურ ექვსი მანეთის მაგივრად შვიდ მანეთს გადიხდიან.

„ნაპერწკლის" წლიურ ხელის მომწერთ 3 მან. დამატებით გაეგზავნებათ გაზეთი „ცნობის ფურცელიც".

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Наперцкали".

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გაზეთ „ცნობის ფურცლის" რედაქცია მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას თავის თანამშრომლის სტუდენტის

ილია ხირსელის

უდროოდ დაკარგვას და იწვევს პანაშვიდზე, რომელიც გადახდილი იქნება კვირას, 8 იანვარს, დილის 11 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. (2—1)

იულიტა გრიგოლის ასული, დავით დიმიტრის ძე და გრიგოლ დავითის ძე ხირსელნი დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი—ძვირფას შვილის, ხოლო უკანასკნელი საყვარელ ძმის, მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტის

ილია ხირსელისას,

რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა მოსკოვში უკანასკნელ არეულობის დროს. პანაშვიდი კვირას, 8 იანვარს, დილის 11 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. (2—უ.—1)

მართა დავითის ასული და გიორგი დავითის ძე აგლაძენი, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძვირფას ძმის, ხოლო მეორე ცოლის ძმის სტუდენტის

ილია ხირსელისას.

პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, 8 იანვარს, დილის 11 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. (2—უ.—1)

ქალთა საეპარქიო სასწავლებლის საბჭოს

განცხადება.

ქალთა საეპარქიო ტფ. სასწავლებლის საბჭო აცნობებს მოსწავლეთა მშობლებს, რომ 9 იანვრიდან სასწავლებლის საერთო საცხოვრებელსა და აგრეთვე თვით სასწავლებელში დარჩენა შეუძლიანთ მხოლოდ იმათ, ვინც გადიხდის დაწესებულს ფასს შენახვისა და სწავლისას $190^{5}/_{6}$ სამოსწავლო წლის მეორე ნახევრისას და აგრეთვე 1-ლ ნახევრის ნედოიმკას, ვისზედაც დარჩენილია. (3—1)

დეკემბრის 22-ს მომხდარ ამბების გამო დაზარალებულ სასტუმრო „ივერიის" პატრონი ივანე როსტომის ძე ძიძიგური აცხადებს, რომ 15 იანვრიდან გაიხსნება ვაჭრობა სასტუმრო

„ივერიაში" (1—1)

ტფილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭო ამით აცხადებს, რომ სწავლა ხსენებულ სასწავლებელში 9 იანვარს განახლდება. (1—1

ა. პ. შულგინა-მესხი

გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

დაიბეჭდა და იყიდება გ. ჩარკვიანის
1906 წ. ქართული
კედლის კალენდარი
ფასი 40 კაპ.
საწყობი: წერა-კითხვის მაღაზიაში, ტფილისი, სასახლის ქუჩა ბანკის ქარვასლაში. (3—3)

გამოვიდა და იყიდება ყველგან
კ. თავართქილაძის მიერ შედგენილი
კალენდრები
ვინც გამომცემლისაგან პირდაპირ დაიბარებს, დაეთმობა 30—40 პროცენტამდე
ადრესი Тифлисъ К. Таварткиладзе (4—3)

კბილის ექიმმა
ი. ზ. კანდელაკმა
განახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი № 32. ძველ ბინის გვერდზე.

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10-დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—42)

ექიმი
გ. ა. ბედალიანი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე, საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—5.—11)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—$11^{1}/_{2}$ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ტფილისი, 6 იანვარი.

ისევ განსაცდელი. დასავლეთი საქართველო ისევ განსაცდელში ჩავარდა. უკანასკნელ პოლიტიკურ გაფიცვის გამოცხადების დღიდანვე მთელი იქაური მხარე მოწყდა ქვეყანას და არავინ არაფერი იცის, რა ხდება იქ. მხოლოდ უკანასკნელ დღეებში ვრცელდება საშინელი ხმები იქაურ საქმეთა მდგომარეობის შესახებ, ამბობენ, გაფიცვას ზოგან შეიარაღებული აჯანყება მოჰყვაო და ამ ჟამად აუარებელი ჯარები მიჰყავს მთავრობას რუსეთიდან და კავკასიიდან „აჯანყებულთა" გასანადგურებლადაო; ამბობენ, ჯარები აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან უკვე შეუდგნენ იქაურობის განადგურებას და რკინის გზის მახლობელი სოფლები იწვის კიდეცაო; ამბობენ, სასტიკი განკარგულებაა მოხდენილი, ცეცხლითა და მახვილით თავზარი დასცენ მცხოვრებთაო. ბევრ სხვასაც ამბობენ, მაგრამ ესეც კმარა,—კმარა, რადგან ვიცით, რომ მოულოდნელი იქ არაფერია, ვიცით, რომ განრისხებული ბიუროკრატია არავის დაინდობს და მართლა შეეცდება, ჯავრი ამოიყაროს „ურჩ ქვეშევრდომებზე". ჯერ ოქტომბერშიც, როცა მაინცა და მაინც არაფერი არა ჩვეულებრივი ამბავი არ ყოფილა ქუთაისის გუბერნიაში, მთავრობამ მაინც მოიწადინა გურიის დარბევა—აწიოკება; ახლა კი „გამარჯვებული" რეაქცია რას ან ვის მოერიდება და რატომ არ აისრულებს გულის წადილს?!

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დასავლეთ საქართველოში ისეთი არაფერი მომხდარა, რასაც ადგილი არ ჰქონდეს რუსეთის ყველა კუთხეში; დარწმუნებულნი ვართ, რომ იქ მხოლოდ გაფიცვა იყო, რათა მხარი დაეჭირათ მთელის რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის. იქ რომ დროზე გაეგოთ რუსეთში პოლიტიკურ გაფიცვის გათავების ამბავი, მაშინვე მშვიდობიანობა ჩამოვარდებოდა. არც-ერთს კუთხეს ჩვენის ქვეყნისას არავითარი განსაკუთრებული მიზანი არა აქვს, რომ განსაკუთრებით და განცალკევებით იმოქმედოს; ჩვენ მხოლოდ მთელს რუსეთს შევყურებთ და იმის ხმაურობას ვაძლევთ ბანს. ქუთაისის გუბერნია განსაკუთრებულს პირობებში არ ყოფილა და არ შეეძლო შეიარაღებულიყო საერთო აჯანყებისათვის. ამიტომ იგი უეჭველად დამშვიდდება, როგორც-კი გაიგებს, როგორ არის საქმე რუსეთში.

მაშ, რათ აყენებენ მთელს გუბერნიას განსაკუთრებულს პირობებში?! რათ უნდა დასაჯონ ასე სასტიკად ხალხი, რომლის „დანაშაული" არ აღემატება არც ერთ სხვა ადგილის „ცოდვას"?! ნუ-თუ არ ჩაუფიქრდებიან, რაოდენ საშიშია მთელის ხალხის უსამართლოდ განსაცდელში ჩაგდება?! ნუ-თუ აღარ ფიქრობენ მომავალზე, აღარ უნდათ გაიგონ, რამდენად გაჭირდება იმ ხალხის გულის მოგება, რომელსაც განზრახ აყენებენ განსაკუთრებულს პირობებში და განსაკუთრებულის სასტიკობით უპირებენ დამშვიდებას?!

მთელი აქაური ქართველობა დარწმუნებულია, რომ მოძმე იმერთა ქვეყანაში მშვიდობისა და წესიერების აღდგენა მშვიდობიანის გზით შეიძლება და ნუ-თუ მთავრობა იმდენად არ მოერიდება უსამართლობას, რომ ყურადღებას არ მიაქცევს მთელის ჩვენის ერის ღრმა რწმენასა და ღრმა სურვილს—არ დაისჯის საქართველოს უდიდესი ნაწილი, რომელსაც არასოდეს არ უფიქრნია იარაღის აღება რუსეთისაგან განცალკევებისათვის?!

ყალბი და მართალი წესიერება რეაქციონერების გარეცხილმა ფრაზეოლოგიამ ბევრი წმინდა ცნება წარყვნა, ბევრი წმინდა სიტყვა წაბილწა და განზრახ ისე დომხალივით აურია ერთი ერთმანეთში სიკეთე და ბოროტება, ხალხის კეთილდღეობა და უბედურება, გონიერება და უგუნურება, რომ ვინც ღრმად ჩახედული არ არის ცხოვრების თანამედროვე მდგომარეობაში, იმას შესაძლოა ადვილად შეეშალოს ნახტომი და თეთრი შავად მოაჩვენოს, შავი კი თეთრად. ერთ-ერთი ასეთი, რეაქციონერების მეცადინეობით გადაუკუღმართებული, ცნება არის წესიერება.

დღეს ყველა რეაქციონერს ენის წვერზე „წესიერება" აკერია და წესიერების დამცველთა სახელით აგროვებენ ისინი თავის გარეშემო იმ ბნელ ძალებს, რომელნიც ბელადების სიგნალისათანავე ველურად გამხეცებულნი ნადირობენ მშვიდობიან მცხოვრებლებზე და „წესიერების" აღსადგენად ცეცხლისა და მახვილის მსხვერპლად ხდიან საუკუნოებით შექმნილს კულტურას. დღეს თითქმის მთელს რუსეთში წესიერების სახელით უარყოფილია ჩვეულებრივი წესი ცხოვრებისა და შემოღებულია საგანგებო ან სამხედრო წესები, რომლის ძალითაც გაუსამართლებლად არბევენ ხალხს, სწვავენ და ანადგურებენ ქონებას, ასახიჩრებენ და ჰხოცენ უდანაშაულო ადამიანებს. ყველა ეს ძალადობა, ყველა ეს უწესოება წესიერების სახელით ჰხდება და ეგრედ წოდებული წესიერების პარტიები ხმა მაღლა მხიარულობენ მმართველობის ყოველ ახალ გამოსვლის გამო, ვითომ უწესობების ანუ ანარქიის მთესველთა წინააღმდეგ. დეკემბერში რეაქციისაგან მოგროვილი ბნელი ძალები განსაკუთრებითის მძინვარებით დაერივნენ ხალხს, მრავალი ჭეშმარიტი მაძიებელი წესიერებისა გამოასალმეს სიცოცხლეს და თავის სამარცხვინო სისასტიკით პირდაპირ დააყენეს საკითხი, ვინ არის დღეს რუსეთში გულწრფელი მომხრე და დამცველი წესიერებისა, რეაქციონერები და კონსერვატორები თუ უკიდურესი სარევოლიუციო პარტიები.

წესიერება სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში აღნიშნავს უფლებრივ პრინციპის გაბატონებას და თვითმპყრობელობის დათრგუნვას. თვითმპყრობელობა იგივე თვითნებობაა, და ამიტომ თვითმპყრობელი შეიძლება ერთი კაციც იყოს, ერთი წრეც და ერთი კლასიც. არსებითი თვისება თვითმპყრობელობისა ის არის, რომ იგი ხალხის მორჩილებას ითხოვს და ამ მოთხოვნას ამყარებს ფიზიკურ ძალაზე და არა უფლებრივს შეგნებაზე. ვიდრე რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყებოდა, სახელმწიფოებრივი წეს-რიგი დამყარებული იყო თვითმპყრობელ ბიუროკრატიის ფიზიკურ ძალაზე; ამ ძალას შეადგენდნენ პოლიცია, ჯარი, ჟანდარმები და მთავრობის პოლიტიკით შესყიდული ბურჟუაზია. განმათავისუფლებელ მოძრაობის უმთავრესი მოთხოვნა ის იყო და არის, რომ სახელმწიფოში წესიერება დამყარებული ყოფილიყო არა ძალადობაზე, არა ფიზიკურს დაშინებაზე, არამედ უფლებრივ შეგნების ზნეობრივ ძალაზე. ოქტომბრის პოლიტიკურმა გაფიცვამ დაამტკიცა, რომ თვითმპყრობელ მთავრობას თუ ემორჩილებოდა ხალხი უკანასკნელ წლების განმავლობაში, მხოლოდ იმიტომ, რომ მთავრობის ფიზიკურ ძალ-ღონისა ეშინოდა, სხვა ნაირად რომ ვთქვათ, ოქტომბერში დამტკიცდა, რომ რუსეთში სახელმწიფოებრივი წესიერება, ე. ი. უფლებრივობა არ არსებობდა. გრაფ ვიტტეს მმართველობამ განიზრახა რუსეთის წესწყობილების გადაქმნა ისე, რომ მთავრობას მორალური ნიადაგი მისცემოდა და წესიერების საფუძვლად გამხდარიყო ფიზიკურ ძალის ნაცვლად ხალხის უფლებრივი შეგნება.

ამგვარად ვიტტეს მინისტრობით დაიწყო ის ისტორიული ხანა, რომელსაც უნდა ევარაუდნა, რა გვარ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას შეეძლებოდა რუსეთში უფლებრივ წესიერების დამყარება, ან, სხვა ნაირად რომ ვთქვათ, რა გვარს მთავრობას დაემორჩილებოდა ხალხი თავის უფლებრივ შეგნების მიხედვით და არა ფიზიკურ ძალის წინაშე შიშის წყალობით. უკიდურესმა პარტიებმა საჭიროდ სცნეს, ეს საკითხი თვით ხალხს გადაეწყვიტნა, რადგან ხალხზე უკეთ ვერავინ გამოიცნობს იმის უფლებრივ შეგნებას, და მოითხოვეს დამფუძნებელ კრების მოწვევა. რეაქციონერებმა, რომელნიც ასე განებივრებული ჰყავდა ძველს თვითმპყრობელობას, დამფუძნებელ კრების მოწვევა უწესოებად ჩასთვალეს და განიზრახეს თითონ გადაეჭრათ საკითხი რუსეთის მომავალ მთავრობის ორგანიზაციის შესახებ. შეიქნა გაცხარებული მუშაობა კომისიებსა და კაბინეტებში, მაგრამ ხალხმა ზურგი აუქცია რეაქციონერებს და პირდაპირ აცხადებდა, ბიუროკრატიულ შემოქმედებას მორალური ნიადაგი არა აქვს და ჩემი უფლებრივი შეგნება არ მაიძულებს კარჩაკეტილ კაბინეტებში შეთხზულ წესებს დავემორჩილოთო.

რეაქციონერებსაც სწორედ ეს უნდოდათ, დაიხვიეს ხელზე ეს გარემოება, მონათლეს იგი უწესოებად და ხალხის საწინააღმდეგოდ მოიხმეს თავისკენ თვითმპყრობელობის დამპალი ნაშთები. ვითომდა უწესოებასთან საბრძოლველად შეადგინეს „წესიერების" რაზმები და მიუსიეს ხალხს. ამგვარად „წესიერების" დევიზით ასპარეზზე გამო[illegible] რუსეთის ის ელემენტები, რომელთაც წინანდებურად სახელმწიფო წესრიგის საფუძვლად ჰსურთ გაჰხადონ ხიშტი და მათრახი. წესიერება, რომელსაც უმაღლეს პოლიტიკის იდეალად სთვლიან რეაქციონერები, ნამდვილად სრული უწესოებაა, რადგან ამ წესიერებას თავისი საფუძველი ხალხის უფლებრივ შეგნებაში კი არა აქვს, არამედ ხალხის დაშინებაში ფიზიკურ ძალის წინაშე.

საქმე საქმეა და არა სიტყვა! ამიტომ ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ რუსეთის ხალხს რეაქცია „წესიერების" დევიზით ყინულზე ვერ გააცურებს. რეაქციონერების „წესიერებას" იცავენ მხოლოდ ძველ წესწყობილებისაგან გონება დაბნელებულნი, გზა დაკარგულნი და შესყიდულნი, ხალხმა კი კარგად იცის, რომ ერთად ერთი სახსარი ნამდვილ წესიერების დასამკვიდრებლად არის დამფუძნებელ კრების მოწვევა.

რეაქციონერების „წესიერებას" ხიშტი და მათრახი რუსეთში თითქმის მთელი ნახევარი საუკუნე იცავდა, ნამდვილ წესიერების მომხრეთათვის კი საბრძოლველ იარაღის შექმნაც კი აკრძალული იყო. ამიტომ დეკემბერში რევოლიუციონერების დამარცხება მოსკოვის ქუჩებში ფიზიკური დამარცხებაა და, როგორც რეაქციონერების „წესიერებაა" მოძველებულ თვითმპყრობელობის ნაშთი, ასეთისავე ძველის ხასიათისაა რეაქციონერების უკანასკნელი გამარჯვებაც. მორალურად რეაქცია საბოლოოდ ძლეულ იქმნა ოქტომბერში და, თუ დეკემბერში იმავ რეაქციამ ფიზიკურად გაიმარჯვა, ეს მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ რუსეთის რევოლიუციის ისტორიული მიზანი ამის შემდეგ უფრო ნათლად გამოიხატება რუსეთის ხალხის წინაშე, რომელიც ბოლოს და ბოლოს მაინც გაიმარჯვებს, რადგან საბოლოოდ ფიზიკური ძალა ემორჩილება ზნეობრივს და არა ზნეობრივი ძალა ფიზიკურს.

კავკასია და რუსეთის მთავრობა. რუსეთის ბიუროკრატია კავკასიის შესახებ იმ მშობლის როლს ასრულებს, რომელიც თავის ბავშვს ტკბილეულობას უკვეთავს ცელქობისათვის. ახლა კი გამოქვეყნებულ არჩევნების წესრიგში სრულიად გამოტოვებულია კავკასია. „რუსეთის გვირგვინის ძვირფასმა ალმასმა" მთავრობის გული ვერ ასიამოვნა და გააჯავრა და სასჯელად მკაცრმა „მშობელმა" გამოუცხადა, რომ „ტკბილეულობას" მოკლებული იქნება, რადგან სხვა შვილებივით ჭკვიანად არ ეჭირა თავი. მართალია, ტკბილეულობა იაფ-ფასიანია, მაგრამ შვილისთვის მაინც სათაკილოა, რომ მშობლის რისხვა-წყრომა დაიმსახურა.

რატომ, რისთვის, რა დანაშაულისთვის აიყარა გული „საყვარელმა მშობელმა" თავის შვილზედ? კავკასია სცდილობს და პასუხი ვერ უპოვნია. თითქოს კავკასიასაც ისევე „ძლიერად უყვარდა" თავისი მშობელი, როგორც პოლონეთს, ფინლიანდიას, პრიბალტიის მხარეს; თითქოს სხვა შვილებსავით შეშა მიჰქონდა დაძველებულ რეჟიმის დასაწვავად. თითქოს სხვა შვილებსავით სისხლით ანოყიერებდა ნიადაგს ახალ წესწყობილების ამოსაცენებლად. მაშ რად გაუწყრა მშობელი?

ეს კითხვა, ასე გასინჯეთ, მთავრობის თავშიაც ტრიალებს. თითქოს თვით იმასაც ეუცნაურება თავისი წყრომა კავკასიაზედ. ოფიციალურ ორგანოს პირით თითქოს ბოდიშს იხდისო. „კავკაზი" რცხვენით, გაწითლებული სცდილობს დაარწმუნოს დასჯილი შვილი, რომ მშობელს ფიქრადაც არ მოსვლია იმისი გამოცალკევება სხვა შვილებისაგან, რომ მშობელს იმისთვისაც არა შურს ტკბილეულობა, მხოლოდ ზოგიერთა გარემოებამ აიძულა ტკბილეულობა პირველად სხვა შვილებისათვის მიეცა. კავკასიისათვისაც აქვს შენახული მზრუნველ მშობელს ტკბილეულობა, მაგრამ, რადგან კავკასიის აგებულობა განსხვავდება სხვა შვილების აგებულებისაგან, ტკბილეულობა ცოტა სხვანაირი იქნება. ეგეც კარგი. „ყვავს კაკალი გააგდებინე, ისიც კარგიაო" მაგრამ რათა ჰგონია „მშობელს", რომ კავკასიის აგებულება განსხვავდება სხვა მხარეების აგებულებისაგან? რა საბუთები უჭირავს ხელში? წინასწარმეტყველობა სრულიადაც არ არის საჭირო, რომ ადამიანმა ეხლავე სთქვას, რა სიტკბოსი იქნება ის ტკბილეულობა, რომელიც შენახული აქვს რუსეთის მთავრობას კავკასიისათვის. თუ სხვა ქვეყნებისთვის სიტკბო ეთანასწორება კიტრა ვაშლის სიტკბოს, კავკასიისათვის

უქველია არ აღემატება კოჭახურის სიტკბოს. ეს უცნაური საჩუქარი კავკასიისათვის მხოლოდ ერთით აიხსნება: მთავრობა კავკასიას სხვა მხარეებისაგან არჩევს, არჩევს იმიტომ, რომ... აქ არაფერ შუაში არ არის კავკასიის თავისებურობა (ყოველი მხარე თავისებურია). მიზეზი უფრო ღრმად ეძიეთ.

გაიხსენეთ, სადა მდებარეობს კავკასია, უკეთ რომ ვთქვათ, ქედს აქეთი კავკასია. იგი მდებარეობს თითქმის 4000 ვერსის სიშორეზედ ცენტრიდან, სადაც სწყდება სახელმწიფოს ბედი; იგი გამოცალკევებულია კავკასიონის მაღალის ქედით დანარჩენ რუსეთისაგან. ეს ერთი. გაიხსენეთ, რა დაუჯდა რუსეთს კავკასიის დამონავება. თითქმის სამოცი წელიწადი მოუნდა ომს. ეს ორი. გაიხსენეთ ახლა, რა გვარი წარმოდგენა აქვს რუსეთს და რუსეთის მთავრობას კავკასიის ხალხებზედ. კავკასიელის წარმოდგენასთან შეკავშირებულია წარმოდგენა თავისუფლების სიყვარულზედ, სიმამაცეზედ, გულადობასა, თავგანწირულებასა და სამშობლოს სიყვარულზედ. სინამდვილეს ეთანადება ეს წარმოდგენა, თუ არა,—ეს სულ სხვა საკითხია, მისი არსებობა მთავრობის თავში კი ეჭვს გარეშეა. აი ის საფუძველნი, რომლებზედაც აღმოცენდა ის მოვლენა, რომ მთავრობა ცუდის, უნდობელის თვალით უყურებს კავკასიას. წარსული და აწმყო შეერთდნენ და დაჰბადეს მთავრობის გულში ეჭვი: კავკასიას გულში უძევს ერთად-ერთი სურვილი, ჩამოეცალოს როგორმე რუსეთს და სრული დამოკიდებლობა მოიპოვოს.—ასე ფიქრობენ იქ, პეტერბურგში. „წმინდა წყლის“ რუსები, როგორც მამასუვორინი, გრინგმუტი და სხვანი მრავალნი ასაზღოებდნენ და ასაზღოებენ დღესაც მთავრობის ეჭვს და, რასაკვირველია, რომ მთავრობა ერთნაირის ბუაბლიურის თვალით არ უყურებს კავკასიასაც. ის ფიქრობს: კავკასიას, რომ გაფართოვებულ არჩევნების უფლება მივანიჭო, ვაი თუ ბლომად ჰყვანდეს წარმომადგენელი სახელმწიფო საბჭოში და საქმე გამიჭიროსო. ეშმაკს არა სძინავს; სჯობია ეხლავე მოვუსპო ყოველივე ღონისძიება.

შორსმჭვრეტელობას იჩენს რუსეთის მთავრობა, მაგრამ ვაი თუ მისი შორსმჭვრეტელობა ბეცობა გამოდგეს. უბრალო ოჯახის ცხოვრების დაკვირვება გვასწავლის, რომ ათვალწუნებული შვილი ბევრ უსიამოვნებას მიაყენებს ხოლმე თავის უსამართლო მშობელს. რუსეთის მთავრობასაც უსამართლო მშობლის ბედი უნდა აფიქრებდეს.

რევოლიუცია მოსკოვში

(იხ. „ცნ. ფურ.“ № 2973)

დაუცხრომელ ბრძოლით გათავდა 14 დეკემბერი და რევოლიუციონერებს მხნეობა არ აკლდებოდათ. იმათ ღამეც-კი არ შეუწყვეტიათ ბრძოლა. ერთი დამსწრე შემდეგ ამბავს გადმოგვცემს ამ ბრძოლისას.

ბრონნის ქუჩისა და სპირიდონიევ'კის გადასახვევის კუთხეში გამართული იყო დიდი ბარრიკადა, რომელსაც ჯარი ესროდა. ბარრიკადას იცავდა მებრძოლი რაზმი, სულ 50—60 კაცი. ყველანი თოფებით იყვნენ შეიარაღებულნი. რევოლვერები თითქმის არავის ჰქონდა. რაზმი ორ ნაწილად გაყოფილა, ერთი ქუჩის ერთ ნაპირზე დამდგარა, ხოლო მეორე მეორეზე. ესენი თითოთითოდ გამწკრივებულიყვნენ ქუჩის სიგძეზედ და ორივ მხრივ ბარრიკადისაკენ გამორბოდნენ; შეგროვდებოდნენ ბარრიკადის შუა ალაგას, გაისროდნენ თოფებს და ისევ სახლებს მოეფარებოდნენ. კუთხეებიდან ყარაულები თვალს ადევნებდნენ ბრძოლას და რაზმს ანიშნებდნენ, როდესაც ისინი მარჯვეთ გაისროდნენ თოფებს. რაზმს მეთაურობდა მშვენიერი ქალი, სულ 16—17 წლისა. ქალს ტანთ ეცვა მუქი რუხი პალტო და ეხურა ცხვრის ტყავის ქუდი. იგი ტანად ჭაბუკს ემსგავსებოდა. ბრძოლის დროს ქალი სულ წინ იდგა და ყუმბარები ცვიოდა და ფეთქდებოდა. ამისთანა მეთაურის ბრძანება, რასაკვირველია, დაუყონებლივ სისრულეში მოჰყავდათ. როდესაც ჯარმა ყუმბარები დაუშინა, ერთი რაზმელი შეშინდა და დამალვა მოიწადინა, მაგრამ ამხანაგებმა შეამჩნიეს, დაიჭირეს და თავის წინამძღოლს მიუყვანეს. „სიკვდილი მშიშარას! ბრძანა წინამძღოლმა ქალმა და მშიშარა იქვე დახვრიტეს. ამის შემდეგ ბარიკადა მალე ჯარმა აიღო და რაზმი მიიმალა.

15 დეკემბერს დილით მოსკოვში უკვე გაიგეს საიდუმლო პოლიციის უფროსის ვოილოშნიკოვის მოკვლის ამბავი. ეს დღე შედარებით უფრო წყნარი იყო, რადგან მოსკოვში ჯარი მეტად გაძლიერდა და წინააღმდეგობის გაწევა ძნელი გახდა. ქალაქის შუა გულში პატრულები გაძლიერდა და იქ მებრძოლი რაზმები ვეღარ მოქმედებდნენ. სამაგიეროდ ბრძოლა ქალაქის განაპირა უბნებში გამწვავებული იყო. რაზმები თავს ესხმოდნენ გაფანტულ პოლიციელებს და სალდათებს. პოლიციელების ხოცვა ამ დღესაც ძალიან გახშირდა. მარტო სრეტენის ნაწილში 17 პოლიციელი მოუკლავთ. ამ დღეს ხმა გავრცელდა, რომ პოლიციამ რევოლიუციონერთა კომიტეტის სადგომი აღმოაჩინა და კომიტეტის ათი წევრი შეიპყრო. ესენი რევოლიუციის მოთავენი უნდა ყოფილიყვნენ. ამათთან შეუპყრიათ მათი სტამბა და წერილები, რომელიც „ჩირქს სცხებს“ ბევრ ცნობილ მოსკოველ პირსაო. ქალაქის საბჭოში ხმა გავრცელდა, რომ მუშათა დეპუტატების საბჭომ გადასწყვიტა გაფიცვის გათავება და შეიარაღებულ აჯანყების შეწყვეტა, რომ ეს უფრო მარჯვე დროისათვის გადაიდვას. მარჯვე დროდ, როგორც ამბობდნენ, მარტსა სთვლიან. ეს ხმები დამტკიცდა იმითიც, რომ მოსკოვის რამდენსამე ალაგას მუშებმა მუშაობას ხელი მიჰყვეს.

ზარბაზნის სროლა ამ დღეს მიუსის რაიონში იყო. ზარბაზნებს მართალია სახლებს არ ესროდნენ, მაგრამ მაინც რამდენიმე სახლი დაზიანდა. ამ ალაგას უპოვნიათ 650 დაჭრილი და 105 მოკლული. მსხვერპლთა შორის რეალურ სასწავლებლის დირექტორი ფიდლერიც არის, რომელიც აქ საავადმყოფოში იწვა. 15 დეკემბერს ქალაქის შუაგულში მაღაზიები მთელ დღეს ღია იყო. გრადონაჩალნიკმა იარაღის მაღაზიების პატრონებს წინადადება მისცა, გადაეტანათ იარაღი და სხვა და სხვა მასალა გრადონაჩალნიკის სადგომის ეზოში, რადგან ქალაქში მაღაზიების დაცვა შეუძლებელი ხდებოდა. ამავე დღეს დაიწყეს რევოლიუციონერების დატუსაღება დაუჭერიათ 500-მდის კაცი, რის გამოც რევოლიუციონერები საპოლიციო ნაწილებს თავს ესხმებოდნენ დაჭერილთა განსათავისუფლებლად. იმ ადგილებში, სადაც საპოლიციო ნაწილები იყო, ზარბაზნისაგან ბევრი სახლი დაზიანებულა. სადგურ პეროვოსთან ამ დღეს დაიჭირეს ბევრი ვაგონი 3000 თოფით და აუარებელ ტყვია-წამლით. ფიქრობენ, რომ იარაღი საზღვარ-გარეთიდან გამოგზავნილი უნდა იყოსო. ამ დღეს ბარიკადები თითქმის სულ აიხსნეს, რადგან აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ ნება ეძლევათ მეეზოვეებსა და სხვებს, ბარრიკადები დაშალონ და თავ-თავიანთი მასალა წაიღონო. ბევრმა ეს განცხადება ბრძანებად მიიღო და ამიტომ ბარრიკადები მალე დაშალეს. ბარრიკადები არ დაშალეს მხოლოდ პრესნის რაიონში, სადაც რაზმები კარგად იყვნენ შეიარაღებულნი. პროხოროვის ქარხანაში მრავალი რაზმელი ყოფილა ამ დღეს ჩასაფრებული და ამიტომ ჯარი გარს შემოერტყა.

16 დეკემბერს ქალაქს კიდევ უფრო მეტი სიწყნარე დაეტყო. ამ დღეს უკვე გამოირკვა, რომ რევოლიუციამ ვერ გაიმარჯვა. ბარრიკადებს საჩქაროდ შლიდნენ თვით რაზმელების ბრძანებით. დილითვე ბევრ ქარხნის მუშებმა ხელი მიჰყვეს მუშაობას. შემდეგ ელექტრონის სადგურზე მივიდნენ მუშები და გამოაცხადეს, რომ გაფიცვა გათავდაო. ამიტომ 3 საათზე ქალაქი უკვე განათებული იყო. დაჭრილთა და დახოცილთა რიცხვი სწორედ არ იციან, მაგრამ უნდა ძლიერ დიდი იყოს, რადგანაც საექიმო პერსონალთა კავშირის ბიუროს მოძრავ რაზმს მოუკრებია 857 დაჭრილი და 150 მოკლული. გრადონაჩალნიკმა განკარგულება მოახდინა, რომ დაჭრილნი კერძო სამკურნალოებსა და სადგომებიდან გადაეყვანათ საქალაქო საავადმყოფოებში. ამ დღეს სულ ორი სახლი დაზიანებულა. გარდა ამისა ბევრი დაიჭრა სუშჩევსკის საპოლიციო ნაწილის მახლობლად, რადგანაც ხალხი დაეცა საპოლიციო ნაწილს დაპატიმრებულთა განსათავისუფლებლად. მოკლულია, სხვათა შორის, უბნის ზედამხედველი სუჩევსკი. არეულობით მცარცველები სარგებლობდნენ და გაჰქონდათ სახლებიდან, რაცკი შეეძლოთ. ისინი სადგურებსაც კი ეცემოდნენ და ვაგონებიდან გამოჰქონდათ სანოვაგე.

17 დეკემბერს ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა. მაღაზიები ყველგან გაიღეს. ქალაქის შუაგულში სროლა სრულებით არა ყოფილა. სამაგიეროდ მთელ დღეს ზარბაზნის სროლა იყო პროხოროვის მანუფაქტურასა და შმიდტის ქარხანასთან. ამ ალაგებში არავინ არა სჩანდა და იქით არც არავის უშვებდნენ. ტელეფონის მავთულები ყველგან დაწყვეტილი აღმოჩნდა; ფიქრობენ, რომ ორი თვის განმავლობაშიც კი ვერ მოასწრებენ ტელეფონის შეკეთებას, ისე რომ ჩვეულებრივად იმუშაოს. საღამოთი შმიდტის ქარხანა დაიწვა. ცეცხლი წაეკიდა სხვა სახლებსაც. შუადღის ორ საათზე ჯარსა და მებრძოლ რაზმებს შორის შეტაკება მოხდა, რის შემდეგაც აღმოჩნდა 8 ჯარის კაცი და ერთი შტაბ-ოფიცერი დაჭრილი. ფარმაცევტებმა და ტელეფონის მუშებმა გადასწყვიტეს მუშაობის დაწყება. ტელეფონის მუშებს მოუსურვებიათ განცხადების გამოკვრა იმის შესახებ, რომ ისინი გაფიცვას ათავებენ და ხელ-ახლად იწყებენ მუშაობას, მაგრამ დირექცია არ დათანხმდა და უთხრა, რომ, თუ გინდათ მუშაობა, ისეც კარგად იმუშავებთო. ტელეგრაფიც გაფუჭებული აღმოჩნდა და ამიტომ მოხელეთა უკან მიღება შესწყვიტეს.

სასანიტარო რაზმებმა თითქმის ყველგან შესწყვიტეს მოქმედება და ამასთან შეწყდა ის ვერაგული ხოცვა ხალხისთვის თავ-დადებულ სანიტარებისა, რომლის მსხვერპლიც, სხვათა შორის, ცნობილი მეცნიერი ფსიხიატრი ვორობიოვი გახდა. მან თურმე დაჭრილს ჭრილობა შეუხვია და ვალი რომ შეასრულა, დაბრუნდა შინ. მას აედევნა ვიღაც სამხედრო კაცი. ექიმი რომ სახლში შევიდა, ისიც უკან შეჰყვა. შესვლის უმალ უცნობმა ჰკითხა, შენ რევოლიუციის მომხრე ხარო? ექიმმა უპასუხა, რომ რევოლიუციის მომხრეობა აქ რა შუაშია: ჩემი მოვალეობაა—ყველა დაჭრილს და ავადმყოფს დახმარება აღმოვუჩინო, როგორც ექიმმა, და მე ამ მოვალეობას ვასრულებო. მაშინ უცნობი გაჩხრეკას მოჰყოლია. ექიმს არ დაუმალავს, რომ ჯიბეში რევოლვერი ჰქონდა და თან უთქვამს, რევოლვერის ტარების უფლება გრადონაჩალნიკისაგანა მაქვს მიღებულიო. ამ სიტყვებზე ექიმი გაბრუნებულა ნებართვის მოსატანად. ამ დროს უჭექნია რევოლვერს და ექიმი იატაკზედ დაცემულა. რისთვის მოჰკალით?—უსაყვედურნია მკვლელისთვის თავ-ზარდაცემულ მოკლულის ცოლს და მკვლელს ამის პასუხად მისთვისაც რევოლვერი დაუმიზნებია. თურმე იმასაც მოკვლას უპირებდა და მოჰკლავდა კიდეც, მოსამსახურეს რომ ოთახიდან არ გაეყვანა.

17 დეკემბერს ქალაქში შემდგარა წრე სამხედრო პირთა ოჯახობის დახმარების აღმოსაჩენად. ეს საქმე უკისრია აგრედვე ქალაქის თვითმმართველობას. 18-ს ჯარი პრესნის რაიონის აკლებას განაგრძობდა. ჯარს თითქმის ყოველი სახლის ცალკე აღება უხდებოდა, რადგანაც მებრძოლი რაზმები განუწყვეტლად იბრძოდნენ და თან პროხოროვის მანუფაქტურისაკენ იხევდნენ. ჯარი თოფებსა და ზარბაზნებს ისროდა. დაზიანებულა ბირუკოვის სახლი, სავაჭრო-სამრეწველო სასწავლებელი, ავეჯეულობის მაღაზია შმიდტისა, მამონტოვის ქარხანა და აბანოები. ამ შენობებს თურმე ცეცხლი წაჰკიდებია. ხალხი თურმე ქალაქისაკენ გამორბოდა თავის საშველად და ამიტომ ხალხიდან აქ ბევრი არ დაშავებულა. სემიონოვის პოლკში, ამბობენ, რვა ჯარის კაცია დაჭრილი და ერთი ფელდფებელი მოკლულიო. ამ გვარად რევოლიუციონერების უმთავრესმა ძალამ პროხოროვის ფაბრიკაში მოიყარა თავი. საღამოთი ხმა გავარდა, რომ პროხოროვის ფაბრიკა დანებდა ჯარსაო. ჯარმა ხელში ჩაიგდო 200 კაცი და მრავალი იარაღი. მაგრამ პროხოროვის ფაბრიკა ამ დღეს ჯარს სავსებით არ აუღია. რკინის გზის სადგურები ჯარმა ჩაიგდო ხელში და მატარებლებმაც დაიწყეს სიარული ჯარით და მგზავრებით. რკინის გზის აღმასრულებელმა კომიტეტმა ლიანდაგებზე დეპეშები დაგზავნა. აცხადებდა, გაფიცვა დროებით უნდა შესწყდეს და მოსამსახურეთ ნება-რთვას აძლევდა 19 დეკემბერს 12 საათიდან მუშაობა დაეწყოთ.

მოსკოვში ბრძოლის ხელმძღვანელთა რიცხვში იყო გენერალი ავერნიევი, რომელიც დაუპატიმრებიათ. ეს გენერალი მოსკოვის ქალაქის თავის გუჩკოვის ნათესავია და ეს უკანასკნელი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ დაპატიმრებულს სასჯელი შეუმსუბუქოს. დაუპატიმრებიათ აგრეთვე მოსკოვ-ყაზანის რკინის გზაზე მღვდელი კაზანსკი. ეს მღვდელი სად. პეროვოში იყო იმას რევოლიუციაში მონაწილეობის მიღება ჰბრალდება.

აჯანყება პრიბალტიის მხარეს

რევოლიუციონური მოძრაობა პრიბალტიის გუბერნიის სხვა და სხვა მაზრას სხვა და სხვა დროს მოედო. იურიევის მაზრაში 5 დეკემბერს მოხდა გლეხთა კრება. ერთის ვოლოსტის გლეხებმა დაადგინეს, სათადარიგო თანხიდან გადასდონ ხუთასი თუმანი და ამ ფულით სულ იარაღი შეიძინონ. დაადგინეს აგრეთვე დაკეტონ, რაც მაზრაში სასმელი დუქნებია. ეს მეორე დადგენილება გლეხებმა მეორე დღესვე მოიყვანეს სისრულეში. ამასთან სასმელ დუქნების პატრონებს ხელწერილები ჩამოართვეს, რომლის ძალითაც დადგენილების დამრღვევს პირველ ხანს ჯარიმა უნდა გადაეხადნა, 25 მანეთი.

ასევე დაკეტეს სასმელის დუქნები მიტავას მაზრაში. გლეხები მედგრად შეუდგნენ აგრეთვე მემამულეთა განდევნას და მათ ქონების დატაცებას. როგორც უკვე ვწერდით, ამ მხარეს მემამულეებად თითქმის სულ გერმანელები არიან. მეამბოხეები დაეცნენ მემამულეს კეიზერლინგში და დასწვეს იმისი სასახლე. პატრონი წინადვე გაიპარა. მოურავი ცეცხლ მოკიდებულ სახლის მესამე სართულიდან გადმოხტა და ძალიან დაშავდა. წინადვე გადაიმალა თავის მამულიდან ბარონი მონტეიფელი. იმის სახლში სალდათები და მოსამსახურენი იწვნენ, როდესაც დამე

ფელეტონი

განვითარების გზით*)

1896 წ. ლონდონში მომხდარ სოციალისტურ კონგრესზე დაადგინეს: სოციალისტი, რომელიც პარლამენტალურ მოქმედების სარგებლობას უარყოფს და რომელსაც სოციალურ რევოლიუციის მოსახდენად პოლიტიკურ ძალის მოპოვების საჭიროება არა სწამს, გამორიცხულ უნდა იქმნას კონგრესიდან და მომავალ ინტერნაციონალურ კონგრესზედაც მონაწილეობა არ უნდა მიიღოსო. იგივე დადგენილება გამეორებულ იქმნა ბრიუსელის კონფერენციაზე 1899 წ. ამ დადგენილებას ის მოჰყვა, რომ ინტერნაციონალურ სოციალიზმს ჩამოშორდნენ ანარქისტები, სარევოლუციო სინდიკალისტები და საზოგადოდ მუშათა ის ორგანიზაციები, რომელთაც პარლამენტისადმი რწმენა დაეკარგათ და ხსნას წმინდა ეკონომიურ ხასიათის ბრძოლაში-ღა ხედავდნენ. პირიქით, ინტერნაციონალურ კონგრესებს დაეპატრონენ პარლამენტორები, პოლიტიკოსები და მუშათა ორგანიზაციების ის წარმომადგენელნი, რომელთაც სწყურიათ პოლიტიკურ ძალის მოპოვება, ე. ი. დაეპატრონნენ ს.-დემოკრატები.

1896 წლის კონგრესმა სოციალიზმი პოლიტიკურ ცხოვრების ფარგალში ჩააყენა, ქარხნიდან გაიყვანა და პარლამენტში შეამწყვდია. და ამ გარემოებას დიდ-მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა. სოციალიზმს სარევოლიუციო ხასიათი თანდათან დაეკარგა. სიტყვას „რევოლუცია“-ს შინაარსი დაეკარგა, სამაგიეროდ „რეფორმა“-ს თანდათან მოქალაქობრივი უფლება მიენიჭა. ამ ცვლილებამ 1900 წ. პარიზში მომხდარ კონგრესზე ისეთის სიამაყით ამოჰყო თავი, რომ ზოგიერთ ს.-დემოკრატ. „რევოლუციონერს“ გული გაუხეთქა, ჩააფიქრა და „რევოლუციის“ დასაცავად საომრად გამოიწვია რეფორმისტების წინააღმდეგ. წარსულ ზაფხულს ამსტერდამში ხელმეორედ შეეჯახნენ ერთმანეთს მოპირდაპირენი და, კენჭის ყრას რომ მივაქციოთ ყურადღება, უნდა ვსთქვათ, რომ „რევოლუციამ“ გაიმარჯვა „რეფორმაზე“ და მით სოციალიზმს დიდი საფრთხე აიცილა. მაგრამ საქმეს რომ დააკვირდეთ, აღმოაჩენთ, რომ სოციალიზმი მაინც განსაცდელში დარჩა, რომ „რეფორმისტებზე“ „რევოლუციონერების“ გამარჯვება უმნიშვნელოა, რადგან ორსავე ვითომდა მოპირდაპირე ჯგუფს ერთი და იგივე პროგრამა აკავშირებს, ორივე ჯგუფი ერთსა და იმავე საშუალებას ხმარობს პროგრამის განსახორციელებლად, და რომ პარლამენტში მოქმედება ორსავე ჯგუფსა, მიუხედავად ზოგიერთ სიყვარულ ფართიფურთისა, რეფორმისტების ხასიათს აძლევს.—რეფორმაზმს და მისს მავნებლობას ასე ახასიათებს პოლ ლუი (გედისტი): „1904 წ. კონგრესს სწადდა ბოლო მოეღო ექვსის წლის წინად გაჩენილ კრიზისისათვის. თეორიის და კრიტიკის სფერაში ბერნშტეინი სცდილობდა მარქსიზმის საძირკვლის დარღვევას, იგი უარჰყოფდა კაპიტალის კონცენტრაციას *), კლასთა შორის არსებულ უთანხმოებას, უარჰყოფს ეკონომიურ ევოლიუციის გავლენას სოციალურ ცხოვრებაზედ, პრაქტიკულ ფარგალში მილიერანი გაჩნდა, რომელიც ჟორესის, ვივიანის და რუანეს მოწონებით, გენერალ გალიფესთან ერთად შედის მინისტრთა კაბინეთში. კაბინეთს თავს არ ანებებს მევობრების რჩევით შალონსა და მარტინიკში მომხდარ ამბების შემდეგაც. სოციალისტ-რეფორმისტების პარტია თან და თან თავის პრაქტიკულ მოქმედებას თეორიულს საფუძველს აძლევს. იგი მჭიდროდ უკავშირდება რადიკალებს და ოპოზიციონერებს... ამ პარტიის ზოგიერთი გავლენიანი წევრი დათმობის გზას ადგას. ჟორესი იტალიის მეფესთან ერთად მიირთმევს საუზმეს. იგი მხარს აძლევს მილიერანს, რიდესაც ამ უკანასკნელს უსაყვედურებდნენ, რომ კენჭის ყრის დროს პარლამენტში მილიერანი წინააღმდეგი არ იყო არც სარწმუნოების ბიუჯეტისა, არც ჯარის შენახვისა და არც ანტიმილიტარულ პროპაგანდას თანაუგრძნობდაო... რეფორმისტების ფრაქცია, თავის პარლამენტალურ მოქმედებაში, იმდენად უახლოვდება რადიკალიზმს, რომ თითქმის მისგან აღარ განირჩევა... ამ მოვლენას სხვა ქვეყნებშიაც აქვს ადგილი. შვეიცარიის კანტონებშიაც სცადეს სოციალისტებმა მინისტრთა კაბინეტში შესვლა, ეს ცდა სამარცხვინოდ გათავდა მათთვის. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთ ფრაქციას სწადდა, ვიცე-პრეზიდენტის ადგილი სოციალისტმა უნდა მოიპოვოსო. ეხლა ხანს მომხდარმა ავსტრიის სოციალისტურ კონგრესმა ძლიერ ცუდი ტენდენციები გამოაამჟღავნა. იტალიაში ტურატიმ მართლა არ მიიღო სამინისტრო პორტფელი, რომელსაც აძლევდნენ; სამაგიეროდ, სამინისტროს მაინც მხარს აძლევს; ბელგიაში ანზელი და ფურნემონი ჟორესის მიმართულებას და აზრს იცავენ და ნიადაგს ამზადებენ მომავალ კაბინეთში შესვლისათვის“.

აი სოციალ-რეფორმისტების სურათი. ს.-დემოკრატიის „რევოლიუციონური“ ნაწილი წინააღუდგა ამგვარ მიმართულებას, წინააღუდგა და შესანიშნავი ის არის, რომ რევოლიუციონიზმის დასაცავად იძულებული შეიქმნა თავის თავის წინააღმდეგ გალაშქრებულიყო და უარეყო პოლიტიკური ნიადაგი, რომელზედაც მანამდე იდგა.

ამსტერდამის კონგრესზე ს.-დემოკრატიის „რევოლიუციონური“ ფრაქცია ჟორესს უსაყვედურებდა,—ჩასციებიხართ რესპუბლიკას და გგონიათ, პროლეტარიატს ხსნას რესპუბლიკა და თქვენი პარლამენტალური მოქმედება მოუტანსო!

ბებელმა რესპუბლიკანურ რეჟიმის დასამცირებლად გერმანიის მონარქიასაც კი და უწყო გუნდრუკის კმევა... „მე მონარქის მცველად უნდა გამოვიდე თქვენს წინააღმდეგ,—უთხრა მან ჟორესისტებს,—მოხდება თუ არა თქვენში (საფრანგეთში) მუშათა გაფიცვა, იმ წამსვე ჯარს მიუსევენ. ჩვენში კი ამას არ შვრებიან... ეს იმიტომ, რომ მონარქიას არ შეუძლიან სავსებით მიიღოს მონაწილეობა იმ ბრძოლაში, რომელიც კლასთა შორის არის აღძრული. მონარქიამ ხალხსაც უნდა გაუწიოს ანგარიშიო“.

ბურჟუაზული რესპუბლიკა, რასაკვირველია, გაფიცულთა ცუდი მცველია. მაგრამ მონარქია კი განა უკეთესია? ამის შესახებ გერმანიის ს.-დემოკრატიულ ორგანო „ფორვეც“-ში კურტ აიზნერი ამნაირად უპასუხებს ბებელს: „განა შესაძლებელია ამგვარ საბუთების წამოყენება სასარგებლოდ გერმანიისა, იმ გერმანიისა, სადაც სოციალისტების წინააღმდეგ „განსაკუთრებული“ კანონები არსებობს, სადაც კანონის პროექტია შემუშავებული, რომლის ძალით გაფიცულნი ადვილად იქმნებიან გაძევებულნი... საკვირველია, რომ დაავიწყდათ ოცნება ბისმარკისა, პროლეტარიატის გასრესა რომ სწყუროდა პირდაპირ შეტაკებაში. და თუ, საზოგადოდ, გერმანიაში არა გზავნიან ჯარს გაფიცულთა წინააღმდეგ, ეს იმიტომ, რომ საგანგებო პოლიცია გვყავს და პროლეტარიატის დისციპლინაც უმაღლეს ხარისხამდეა განვითარებული. პოლიცია ისე სასტიკად ეპყრობა მანიფესტანტებს, რომ ჯარის მოწვევა საჭირო აღარ არის. ვის უნდა ესროლონ ჯარის კაცებმა? ქუჩაში, ეგრედ წოდებულ, „ყვითელ“ ორგანიზაციების მუშებს თუ ნახავენ. პროლეტარიატი გაწვრთნილია, იმწამსვე ემორჩილება პოლიციას და მანიფესტაციების წინააღმდეგია. შალონში საფრანგეთის მუშებმა მანიფესტაცია რომ მოახდინეს, ისეთი მანიფესტაცია გერმანიაში რომ მოხდეს, რამდენი მსხვერპლი იქმნებოდა საჭირო და რამოდენა მუშას უკრავდნენ თავს ციხეში“!

ამ რიგად, როგორც ვხედავთ, ბებელს თვით მისი ამხანაგები ამტყუნებენ. და, რასაკვირველია, გაამტყუნებენ, რადგან ჟორესის წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვები პოლემიკის საჭიროებისათვის წარმოსთქვა ბებელმა, თორემ იგი თვითონ რესპუბლიკელია და დრესდის კონგრესზედაც აღიარა თავისი რესპუბლიკანიზმი: „პრუსიის გერმანიაში რაც უნდა უვარგისი რესპუბლიკა არსებულიყო, ჩვენ ეხლა საყოველთაო საარჩევნო თანასწორი, ფარული და პირდაპირი უფლება გვექნებოდა ყველა საწარმომადგენლო დაწესებულებისათვის... ჩვენი კანონები ასოციაციებისა და კრებების შესახებ უფრო ლიბერალური იქმნებოდა, სოციალური რეფორმებიც უფრო განვითარებული, პრესასაც მეტი თავისუფლება ექნებოდა... ერთის სიტყვით, ჩვენის პროგრამის ბევრი მუხლი ეხლავე განხორციელებული გვექნებოდა. ამჟამად-კი იძულებულნი ვართ დიდხანს და მედგრად ვიბრძოლოთ, და ამ ბრძოლას ბევრი ძალა შევსწიროთ“.

ასე რომ ბებელის გალაშქრება ჟორესის რესპუბლიკანიზმის წინააღმდეგ ცარიელი ბაქი-ბუქი იყო, სხვა არაფერი. მაგრამ, რაკი ამსტერდამის კონგრესზე „რეფორმიზმი“ ამოიღეს ნიშანში, ამიტომ საჭირო იყო რესპუბლიკის გმობაც. ბებელმა მონარქია ირჩია,—იქ უფრო ადვილად განვითარდება რევოლიუციაო. ხოლო გედმაც გადააბრუა რესპუბლიკას და მოულოდნელად ანარქიულ ნიადაგზე შედგა. თქვენ რესპუბლიკის დაცვას უნდებითო,—უთხრა მანაც კონგრესზე ჟორესს. „მაგრამ, გეკითხებით, რანაირად უნდა შეუწყოს ხელი პროლეტარიატის განთავისუფლებას თქვენ მიერ გადარჩენილმა რესპუბლიკამ?. თქვენი შეცდომა ძირითადია, თქვენ სოციალიზმს რესპუბლიკას და დიდ ფრანგულს რევოლიუციას უკავშირებთ. ჩვენ-კი ვამტკიცებთ, სოციალიზმი წმინდა ეკონომიურ მოვლენათა შედეგია და ჩვენი შეხედულება სრულიად ეწინააღმდეგება თქვენსას. თქვენ თვალში რესპუბლიკა პირველი თავი ან კიდევ შესავალია სოციალიზმისაო“. ამაზე ნათლად ანარქიულ კონცეპციის აღიარება შეუძლებელი იყო. მაგრამ საქმე ის არის, გედი არ იყო განა, საფრანგეთის ჩრდილოეთ ქალაქებში ეგრედ

---

*) ეს სტატია დაწერილია ამსტერდამის კონგრესის გათავების შემდეგ და ახლა საჭიროდ ვსცანით დაგვებეჭდა.

*) მარქსიზმის კრიტიკა მარტო ბერნშტეინს არ ეკუთვნის. მარქსს არ ეთანხმება ბევრი რევოლიუციონერი, რომელთაც არაფერი აქვს [illegible] ბერნშტეინსა და რევიზიონის[illegible]

გლეხები შეიარნენ. მოჰკლეს ერთი სალდათი და ქალი. შემდეგ ხალხმა აიკლო სახლი. გლეხებს მამულში 30 შეიარაღებული გლეხი მივიდა. ამათ ბატრონს, ბარონ შრეიდერს მოსთხოვეს იარაღი, მაგრამ ბარონი თავის მოსამსახურეებით კარგად ყოფილა შეიარაღებული და გლეხები უკუ უქცევია. დზირგონში ბარონ ფიტენ-ზაკენთან მისულა რამდენიმე ნიღაბ ჩამოფარებული კაცი, შეუკრებიათ მოსამსახურენი, შეუიარაღებიათ ბარონის იარაღით და წაუყვანიათ მემამულე ექიმ კაუფლის მამულში. მისულს წაურთმევიათ ოთხი თოფი და ოთხი რევოლვერი და უბრძანებიათ მოსამსახურებისათვის ჯამაგირების მომატება. ამას გარდა სოფელში ბრძანებს გაუციათ, გადასახადი არ გაიღოთ და თუ პოლიციელნი მოვიდნენ ფულის მოსაკრეფად—დახოცეთ და იმათი გვამები გადაგვიგზავნეთ. სხვა ადგილებშიაც გაჩნდნენ შეიარაღებული კაცები. ესენი გულმოდგინედ ჰკრებენ ფულს და იარაღს. 13 დეკემბერს დასწვეს ძველებური კოშკები და სასახლეები ბარონების ედვალენის, ბერიას, გოლტეისა, პეკინგისა, შტემპელისა და სხვათა.

მიტავის მაზრიდან გახიზნულ მემამულეებს უთქვამთ, გლეხები კარგად არიან შეიარაღებულნი. თოფები გლეხებს ამ ზაფხულს საზღვარზე გამით მიუღიათ ინგლისიდან. გამოდის ისე გადაუზიდნიათ იარაღი, რომ არავის არაფერი გაუგია. მიტავასა და ლიბავას გარდა, რევოლიუციონერებმა დეკემბრის პირველ რიცხვებში ყველგან გადააყენეს მთავრობის წარმომადგენელნი. 3 დეკემბერს ქალაქ გოლდინგენში დილიდანვე უკვე მილიციონერები შეიკრიბნენ და დარაჯობდნენ ქალაქს. ქალაქის საქმეების გასაძღოლად შემდგარა განსაკუთრებული კომიტეტი. კომიტეტმა პირველ დღესვე დაიჭირა ჩვიდმეტი ქურდ-ბაცაცა და საპყრობილეში ჩასვა. მაზრის უფროსმა თავისი თავი გადაყენებულად გამოაცხადა.

5 დეკემბერს მიტავაში დაასაფლავეს პოდპოლკოვნიკი მილლერი და ოცდა რვა სალდათი, რომელნიც დაიღუპნენ ქალაქ ტუკუმში მომხდარ შეტაკების დროს.

22 დეკემბრამდე პეტერბურგში არ იცოდნენ, რა ბედი ეწვიათ ქალაქებს პერნოვსა და ფელინს. მხოლოდ ამ დღეს მოვიდა ცნობა. როგორც ამ ცნობიდან სჩანს, პერნოვში მიტინგი მომხდარა, რომელსაც შეტაკება მოსვლია პოლიციასთან, ხალხი შემორტყმია პოლიციელთა რაზმს და მცირე ბრძოლის შემდეგ გაუფანტნია. ბოქაულს ქალაქის გამგეობაში შეუკრებია თავი, ხალხი შეიარაღებულა იქ, შეუპყრია ბოქაული და გამოუთრევია გარედ გასასამართლებლად. ის იყო განაჩენი სიკვდილით დასჯის შესახებ უნდა სისრულეში მოეყვანათ, რომ გაჩნდა ჯარი, სროლა აუტეხნიათ და ხალხი გაუფანტნიათ. ქალაქ ფრაუენბურგში, როდესაც პოლიცია და მთავრობის სხვა აგენტები გადაუყენებიათ, აურჩევიათ თავიანთი კაცები კომიტეტში, რომელიც ქალაქის საქმეებს უნდა გასძღოლოდა, სხვათა შორის მოჰყოლიან ერთი 70 წლის დედაკაცი და ორი ახალგაზრდა ქალი.

ამ გვარ მოძრაობის მიუხედავად იურიევში შავი რაზმიც-კი შემდგარა. რაზმში უმთავრესად გერმანელები ჩაწერილან. სხვათა შორის ამ რაზმში ჩაწერილან და მეთაურობასაც ეწევიან პროფესორები დეჰიო, რაუპახი, განნიხი, დიაკონოვი, ლანდეზენი და ისვანი, ექიმები, ვაჭრები, ვექილები, მოხელენი, მემამულენი, მასწავლებელნი. ასე გასინჯეთ, გერმანელი სტუდენტებიც ამ შავ რაზმში ჩაწერილან. ესენი ყაზახებთან ერთად იჭერდნენ, სცემდნენ და აპატიმრებდნენ რევოლიუციონერ სტუდენტებს, იძიებდნენ რეპრესიებს და სხვა სისაძაგლეს სჩადიოდნენ.

პრიბალტიის მხარეში ახლად შესული ჯარი აჯანყების ჩასაქრობად მეტად სასტიკად და ულმობელად იქცევა. ამას წინად შეუპყრიათ ვინდავის სარევოლიუციო კომიტეტის წევრნი კარკლინი, ბისნეკი და ფერნესი, გაუყვანიათ ქალაქ გარედ და დაუხვრეტიათ, კომიტეტისავე წევრი ბერმანი თავის სახლის კარებთან დაუხვრეტიათ. მეოთხე კომიტეტის წევრს რიტტერის ქალს სიკვდილი აპატიეს და მხოლოდ დაპატიმრეს. ლატიშელების ხვრეტას და დაპატიმრებას პეტერბურგშიაც შეუდგნენ. ამბობენ, პეტერბურგში მცხოვრებ ლატიშელთა შორის ბევრი რამ აღმოაჩინეს ლატიშელთა მოძრაობის შესახებ. 21 დეკემბერს მარიენბურგში შეაპყრეს დიდძალი ხალხი და ჯარის თანხლებით ვალკში გაგზავნეს. ბევრ სოფლისთვის ზარბაზნები დაუშენიათ და სახლები მიწასთან გაუსწორებიათ. დაპატიმრებულებით სავსეა საპყრობილეები და რადგან პრიბალტიის მხრის ციხეებში ადგილები აღარ არის, პეტერბურგის და რუსეთის სხვა ადგილებში ჰგზავნიან შეპყრობილთ.

ახალი ამბავი

◆ **ბათუმის ლიანდაგზე.** პირველი სამხედრო მატარებელი გავიდა ტფილისიდან 3 იანვარს. ამ მატარებელში იყო 2 როტა სალდათი, სოტნა პლასტუნებისა და 60 კაცი რკინის გზის ბატალიონისა. გზა და გზა ეს რაზმი შეუდგა გზის კეთებას და ავჭალისა და მცხეთის სადგურების მოსამსახურეთა შეგროვებას. მცხეთაში შეიპყრეს სადგურის უფროსი ზასიპკინი. სად. კასპი-კი ცარიელი დახვდა რაზმს, რადგან მოსამსახურენი გაქცეულიყვნენ. გრაკალი რაზმს სრულიად დანგრეული დახვდა. როგორც გამოირკვა, სადგური ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებთ არ დაენგრიათ. გრაკლის ხიდზე დაყრილი ნავთის ვაგონები ჯარმა აკრიფა და ხიდი გასწმინდა. სად: გრაკლის ახლო-მახლო სოფლებში ბევრი სახლი ემსხვერპლა ცეცხლს. სადგური გორი მუშაობდა. ამ სადგურზე რაზმს მიემატა ყაზახთა ერთი სოტნა. სადგურებს სკრასა, ქარელსა და გომზე მუშაობას შესდგომოდნენ. სადგური ხაშური, როგორც ამბობენ, რევოლიუციონერთა ხელში იყო. ჯარმა ალყა შემოარტყა სადგურს და დაიჭირა. ამ სადგურზე შეიპყრეს რამდენიმე კაცი. ჯარი შემდეგ გამართა წიფისაკენ, სადაც რევოლიუციონერებს, როგორც ამბობენო დატყვევებული ჰყავდათ სამხედრო რაზმი. აქ ბრძოლა მომხდარა. ბრძოლის დროს ორთავე მხარეს დიდი ზარალი მოუვიდათ. რაზმი გაანთავისუფლეს.

◆ **ჯარის გაგზავნა ხაშურში.** 4 და 5 იანვარს ტფილისიდან ხაშურისკენ გაიგზავნა რამდენიმე მატარებელი ჯარით. მგზავრებს ნება მიეცათ ამ მატარებლებით წასვლისა ქართლისაკენ.

◆ **სამხედრო მატარებელი.** გუშინ გავიდა ბათუმისაკენ სამხედრო მატარებელი ჯარითა და ტყვია-მტყორცნელებით. ეს ჯარი დანიშნულია დასავლეთ საქართველოსთვის.

◆ **სათადარიგო ჯარი მოჰყავთ.** ტფილისში ნელ-ნელა ისევ მოჰყავთ სათადარიგო ჯარი. რამდენიმე როტა ერევნის პოლკისა გაიგზავნა ქართლს და შემდეგ იმერეთისაკენ, ხოლო პოლკი შეავსეს სათადარიგო ჯარისკაცებით.

◆ **გაზეთის შეჩერება.** 5 იანვარს, ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, შეჩერებულ იქმნა კ. მესხის რედაქტორობით გამოცემული „პატარა გაზეთი“ ნაშუადღევის 2 საათზედ პოლიციმეისტერი ჯარით მივიდა და დაბეჭდა რედაქცია გაზეთისა, აგრეთვე სტამბა, სადაც გაზეთი იბეჭდებოდა, და დააყენა დარაჯები. პოლიცმეისტერმა ამასთან დაიჭირა რამდენიმე ათასი ცალი უკვე დაბეჭდილ უკანასკნელ ნომრისა.

◆ **კომისიის გაგზავნა ქიზიყში.** როგორც სარწმუნოდ გვიგვეთ, მთავრობას ქიზიყის სოფლების საზოგადოებებში მოხელეთაგან შემდგარი კომისია გაუგზავნია. ამ კომისიამ ძლიერ საჩქაროდ უნდა გამოარკვიოს რაოდენობა სახელმწიფო მიწებისა ქიზიყში. კომისიას დავალებული აქვს აგრეთვე დაუყოვნებლივ შეუდგეს გადასახადების მოკრებას, რომელიც ქიზიყში ჯერაც არ განაწილებულა.

◆ **დაგირავებულ მამულების ვაჭრობა.** ის მამულები, რომლებიც დაგირავებულია ტფ. სათავად-აზნაურო ბანკში და რომლის პატრონებმაც დროზე არ შეიტანეს სარგებელი და ნედოიმკები, საჯაროდ გაიყიდება ამ წლის მარტში. ეს მამულები უნდა გაყიდულიყო დეკემბერში, მაგრამ ბანკის გამგეობამ საჭიროდ დაინახა ვაჭრობა გადადვა მსესხებელთა ეკონომიურ მდგომარეობის გამო. შემდეგი ვაჭრობა მამულებისა, ე. ი. პირველი ამ წლის ნახევრისა, მოხდება ჩვეულებრივ დროს ივნისში. ის ამბავი-კი, რომ მამულების ვაჭრობა წელიწადში სამჯერ მოხდება, მართალი არ არის.

◆ **სესხის თხოვნა.** დუშეთის მაზრის მჭადისჯვარის, ჩონტილის, არანისის, ჩალკორტის, ებნისის და ქინქილის სოფლების საზოგადოებებმა ამას წინად შუამდგომლობა აღძრეს, მიეცეთ სასოფლო-სამეურნეო თანხებიდან სესხი სხვა და სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. მთავრობამ ზოგიერთ საზოგადოების თხოვნა შეიწყნარა. საზოგადოდ, მთელ დუშეთის მაზრიდან აუარებელი თხოვნები მოსდის თურმე მთავრობას სესხის შესახებ.

◆ **ოსების გადასახლება.** როგორც გავიგეთ, დუშეთის მაზრის სოფელ განისის ოსებს უთხოვნიათ მთავრობისთვის, შირაქში გადაგვასახლეთო. სახელმწიფო ქონებათა გამგეობას აზრად აქვს ეს ოსები ახალქალაქის მაზრაში დაბინაოს.

◆ **შეშა.** ტფილისში მოვიდა რამდენიმე ვაგონი შეშა, მაგრამ სამხედრო უწყებამ და რკინის გზის გამგეობამ წაიღო.

◆ **მაზრის უფროსის დათხოვნა.** ოზურგეთის მაზრის უფროსი ცნობილი ლაზარენკო დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

◆ **ტელეგრაფის აღდგენა.** ტფილისსა და ბათუმს შუა ტელეგრაფი უკვე მუშაობს. ტელეგრაფი მუშაობს ახალქალაქსა, არდანუჩსა და ართვინზე.

◆ **ფოსტის მოხელის მოკვლა.** 3 იანვარს, საღამო ხანს წყნეთის ქუჩაზე რევოლვერით მოჰკლეს ფოსტის მოხელე დეგტიარევი.

◆ **ჟანდარმთა აფიცრის გადაყვანა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ჟანდარმთა უფროსი პოლკოვნიკი სოლოვიოვი პეტერბურგ-ვარშავის გზის ჟანდარმთა უფროსად გადაიყვანეს.

◆ **ტელეფონი.** ტფილისის სატელეფონო გამგეობა უკვე შეუდგა ტელეფონის შეკეთებას. ტელეფონის ასამდე აბონემენტი განახლეს და უკვე მუშაობს. მთელ ტელეფონის შესწორებას მოუნდებიან ორ თვეზე მეტს, რადგან შესასწორებელი მასალა და ხელოსნები პეტერბურგიდან გამოუწერიათ.

◆ **გაჩხრეკა.** პოლიციის მე-5 ნაწილში, პატარა სირაჩხანის ქუჩაზედ, გაჩხრიკეს „ტფილისის ნომრები“. წაიღეს ერთი ბერდანის თოფი და 220 პატრონი.

◆ **სომეხთა დეპუტაცია.** გუშინ-წინ ნამესტნიკს წარუდგა განჯის გუბერნიიდან ჩამოსული 120 სომეხი, რომელთაც ნამესტნიკს თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობა შესჩივლეს.

◆ **თავდასხმა.** პოლიციის მეხუთე ნაწილში ოსკანოვის სახლში სდგას კნეინა მაჩაბლისა. 4 იანვარს, იქნებოდა საღამოს 6 საათი, ამ სახლის კარებს მიადგა ხუთი შეიარაღებული და ყაბალახ-ახვეული კაცი. დაიწყეს კარების რახუნი. შინ იყვნენ მოხუცებული კნეინა მაჩაბლისა და მისი მოხუცებულივე მსახური მიხო. მიხომ კარები გაუღო. შეიარაღებულნი შეცვივდნენ სახლის დერეფანში, მიხოს ყელში წაუჭირეს და გულ-წასული დასცეს. მერე იძრეს რევოლვერები და დაიწყეს მთელი სახლის ჩხრეკა. მიაქოთ-მოაქოთეს იქაურობა, რაც იპოვეს, ჯიბეებში ჩაიდეს, ფულიც წაართვეს და წავიდნენ. წაღებული აღმოჩნდა ფულად და ნივთებად ექვსას მანეთზედ მეტი. არ იციან ვინ იყვნენ, მხოლოდ კნეინას სიტყვით, მათი მოთავე შინაური უნდა ყოფილიყო, რადგან ყველაფერი, ფული და ავეჯეულობა, ადვილად იპოვესო.

◆ **იორდანე.** წელს იორდანე ტფილისში აღარ იქნება გამართული, არც მართლმადიდებელთა და არც სომეხთა. წყლის კურთხევა მოხდება სიონისა და სამხედრო სობოროებში, სადაც მიწვეულნი არიან სამხედრო და სამოქალაქო პირნი.

◆ **მცხეთაში.** 3 იანვარს, საომარ დროის წესების გამოცხადების შემდეგ, ადგილობრივმა ბოქაულმა საჯარო ყრილობა მოახდინა და ვაჭრებს გამოუცხადა, უნდა შეიტანოთ პატენტების ფულიო.

◆ **სწავლის განახლება.** საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთ, როგორც გავიგეთ, გადაუწყვეტიათ 9 იანვრიდან სწავლა განაახლონ.

◆ **სიღნაღის მაზრის ყანდაურის სოფლის** საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს მიეცეს ეკრედ წოდებულ „ბადიაურში“ 2124 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა. თურმე გლეხები ძალიან შევიწროვებულნი ყოფილან უმიწობით.

◆ **ყაზახის მაზრის სოფელ მახაიდოვკის** რუს-მცხოვრებთაგან დეპუტაცია ჩამოვიდა და ნამესტნიკს იარაღი სთხოვა, და საზოგადოდ დაფარულ იქმნენ იგი თათრებისაგან მოსალოდნელ შეწუხებისაგან. დაბა ყაზახიდან განუცხადეს დეპუტატებმა ნამესტნიკს, თათრებმა მოგვისპეს სანოვაგის შეძენა რადგანაც გვეუბნებიან, თქვენ სომხებისათვის იძენთ სანოვაგესო.

◆ როგორც პეტერბურგიდან დეპეშით იტყობინებიან, იქიდან უკვე გამოსულან 4 იანვარს თავ. ი. გ. ჭავჭავაძე და გ. დ. ჟურული, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ გრაფ სოლსკის კომისიაში.

◆ პოლიციამ დააპატიმრა ტფილისის სადგურის ეზოს ზედამხედველი სეთ ჭუჩანი.

რუსეთი

აჯანყების ჩაქრობა. ბახმუტში დიდი შეტაკება მომხდარა ჯარსა და რევოლიუციონერებს შორის. ბახმუტის მაზრის გორლოვკაში ჯარმა დააპატიმრა 300 კაცი. შეტაკების დროს მომკვდარა 30 და დაჭრილა 12 სალდათი. ერთ ადგილას 500 აჯანყებული დამორჩილებია ჯარს. ამათთვის ფიცი მიულებინებიათ და გაუშვიათ. ხალხისთვის ჩამოურთმევიათ 7,000 პატრონა, 300 ხიშტი, მრავალი თოფი, რევოლვერი, დინამიტი და ორი ყუმბარა. სროლამ ექვს საათს გასტანა თურმე. ჯარის უფროს მოწოდება გაუცია მუშების მიმართ. ურჩევს, იარაღი დაჰყარონ და სავსებით დამორჩილდნენ. ამასთან აცნობებს, რომ მარტო გორლოვკაში ჯარმა 300 კაცი მოჰკლაო.

დიდი შეტაკება მომხდარა აგრეთვე სორმოვოში. იქაც ბარიკადები გაუმართავთ. როდესაც ქვეითა ჯარს ვერა გაუწყვია-რა, ზარბაზნები მოუტანიათ. ბრძოლამ სამ დღეს გასტანა თურმე. ნაწილი რევოლიუციონერთა დაუხოცნიათ, ნაწილი დაუჭერიათ, ნაწილიც დაუფანტნიათ. მებრძოლებმა ჯარს რამდენიმე ყუმბარა ესროლეს. უნდოდათ აგრეთვე აეფეთქებინათ ბატარეის ოთახი ტელეგრაფის მთავარ სადგომში. განზრახვა ვერ განახორციელეს მხოლოდ უბრალო შემთხვევის გამო. დააპატიმრეს გაფიცვის

ოდებულ მუნიციპალურ სოციალიზმის განვითარებას რომ უწყობდა ხელს? განა 1893 წელს პარლამენტში დეპუტატობის დროს გედი არ ეხმარებოდა კანონმდებლობის შექმნის საქმეში სხვა სოციალისტებს, რომელნიც რესპუბლიკის გაუმჯობესებას სცდილობდნენ და რესპუბლიკის საშუალებით პროლეტარიატის ხსნას? დიაღ, ეს ასე იყო და ამიტომაც თვით სოციალ-დემოკრატიულ წრეებშიაც-კი ვერაფრად მოიწონეს გედის გალაშქრება რესპუბლიკის წინააღმდეგ. „ფორვერტსმა“ გედის პოლიტიკა ამნაირად დაახასიათა:

„გედის აზრით, კლერიკალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ფუჭი საქმეა. რიგიანი სკოლა, მისის აზრით, მარტო სოციალისტურ საზოგადოებაში დაარსდებაო ეს იმ მხრივაა მართალი, რომ საზოგადოდ ყველა ჩვენ მისწრაფებათ სავსებით მხოლოდ სოციალიზმი განახორციელებს. მაგრამ განა გერმანელი სოციალ-დემოკრატია უყურადღებოდ სტოვებდა საყოველთაო შრომას ამა თუ იმ რეფორმის განსახორციელებლად? გედს რომ გავყვეთ, „პარლამენტარიზმს თავი უნდა დავანებოთ, აღარ უნდა ვიმოქმედოთ საკანონმდებლო ნიადაგზედ... ამ ხასიათის გედთან გერმანელ სოციალ-დემოკრატიას საერთო არა ექნებოდა რა, მას რომ ჩვენში ემოქმედა, იგი დაიჩრდილებოდა ანარქისტების პატარა ჯგუფში.“ გედის წინააღმდეგ დრეზდენის რეზოლიუციაც ღაღადებს. დრეზდენში მომხდარ ს.-დემოკრატიულ კონგრესზე შარშან „რევოლიუციონურმა“ ელემენტმა გაიმარჯვა. ამ კონგრესზე ბებელის მიერ რესპუბლიკის სასარგებლოდ წარმოთქმულ სიტყვის შემდეგ გამოიტანეს რეზოლუცია, რომელშიაც, სხვათა შორის, აღიარებულია, რომ ს.-დემოკრატიამ უნდა ისარგებლოს თავის პარტიის ზრდით და განამტკიცოს და განავითაროს პოლიტიკურ თავისუფლების უფლებანი და უნდა სცდილობდეს ენერგიულად განაუმჯობესოს სოციალური კანონმდებლობა.“ აშკარაა, კანონმდებლობას ვერ განაუმჯობესებთ, თუ პოლიტიკური ფორმა არ დაიცავით. და, მაშასადამე, დრეზდენის კონგრესის მიერაც არიან გამტყუნებულნი ამსტერდამის კონგრესის „რევოლიუციონერები.“ მაგრამ, ყველაზე საკვირველი ის იყო კონგრესზედ, რომ „რევოლიუციონური“ აღფრთოვანება გამოიჩინეს გერმანელ ს.-დემოკრატიის წარმომადგენელთ, რომელნიც, ჩვეულებრივად, თავიანთ მუდმივ პრაქტიკულ მოქმედებაში არასოდეს არ გასცილებიან ლეგალურ ნიადაგს. ამ გვარი შეუსაბამობა ჟორესმა აღნიშნა თავის სიტყვაში, როდესაც კაუცკის და ბებელს მიჰმართა და უთხრა: „თქვენი პარტია პროპაგანდის განვითარების მხრივ შეუდარებელია, ამას ამტკიცებს 1903 წ. არჩევნები, როდესაც თქვენ სამი მილიონი ხმა მოიპოვეთ, მაგრამ თქვენი მოქმედება შეფერხებულია, რადგან პოლიტიკურად უძლურნი ხართ. მოქმედების ორი საშუალება გაკლიათ. თქვენ არა გაქვთ რევოლიუციონური ტრადიცია. რეფორმები, საყოველთაო საარჩევნო უფლება—ყოველივე ეს მთავრობისაგან მიიღეთ, ჩვენსავით ბარიკადების საშუალებით არ დაგიპყრიათ იგი. თქვენ კარგად იცით, რომ ამ ჟამად გემუქრებიან, ჰსურთ საყოველთაო საარჩევნო უფლება წაგართონ, მაგრამ თქვენ ფეხს არ იცვლით. საქსონიაში, რომელსაც „წითელ სამეფოს“ უწოდებენ (ისე ბევრია იქ ს.-დემოკრატები), უკვე მოსპეს ეს უფლება, მაგრამ თქვენ პროტესტი არ გამოგიცხადებიათ. თქვენ (მიუბრუნდა ჟორესი ბებელს) კრუპის ინციდენტის გამო მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვით რეიხსტაგში, სიტყვა, რომელიც ჩვენ ყველა ენებზე გადავთარგმნეთ; მაგრამ თქვენ შეურაცხჰყავით თქვენი თავი, რადგან მუშებს ურჩიეთ, რომ იმპერატორისთვის თავმდაბალი ადრესი მიერთმიათ. თქვენი უძლურება იმაშიაც გამოიხატება, რომ საპარლამენტო ძალა გაკლიათ. კენჭის ყრას თქვენში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან თქვენი პარლამენტი ერთად-ერთია, სადაც მინისტრები პასუხს არ აგებენ და სადაც ყოველი დადგენილება იმპერატორისაგან ადვილად გაუქმებულა ხოლმე. დრეზდენის კონგრესიდან ბევრ რასმე მოველოდით, გვეგონა, რაიმე გეგმას, პროგრამას შეიმუშავებდით, მაგრამ, თქვენ, დარწმუნდით რა, რომ პროლეტარიატი მომზადებული არ არის, თქვენი უძლურება ამოაფარეთ თეორიულ და სარევოლიუციო ხასიათის ფორმულებს, რომლებსაც კაუცკი ისე ადვილად გიცხობსთ ხოლმე“.

აი ამ გვარად კამათობენ ერთმანეთში ს.-დემოკრატიის „ორის მიმართულების“ წარმომადგენელნი. ამ კამათს რომ ვაკვირდებით, ვრწმუნდებით, რომ ინტერნაციონალურ ს.-დემოკრატიაში კრიზისმა იჩინა თავი. იმან, ერთის მხრივ, შეიწყნარა ბურჟუაზიული პარლამენტალური რეჟიმი და ამ რეჟიმის საშუალებით სცდილობს განახორციელოს ვითომდა კოლექტიური იდეალი; მეორეს მხრივ, მასში ეჭვი დაიბადა: ბურჟუაზულ რეჟიმის შეწყნარება ხომ ღალატია პროლეტარიატისა, იგი ხომ სარევოლიუციო სოციალიზმს უარყოფდაო. მაგრამ, საუბედუროდ, ვითომდა ეგ მეორე ნაწილი ს.-დემოკრატიისა, რომელსაც სარევოლიუციო პრინციპებისადმი მისწრაფება გაეღვიძა, ვერ ჰხედავს იმ ფარგლის გადაცილებას, რომლითაც შემოზღუდულია იგი, ვერ ჰხედავს ბადის (პარლამენტარიზმის) დახვევას, რომელშიაც გახვეულია იგი და რომელიც აფერხებს მას სარევოლიუციო მოქმედებას. მას არ ესმის თუ რა გზით შეუძლია იხსნას თავი, იგი არ ხედავს თავის პრინციპების ძირითად შეცდომას. იგი სარევოლიუციო ფრაზეოლოგიით არის დაბრმავებული და თავის ამხანაგებს, რომელთაც მედიდურად „რეფორმისტებს“ უწოდებს (თითქო თვითონ რეფორმების წინააღმდეგი ყოფილიყოს) შემდეგს სიტყვებს ეუბნება: „რამდენადაც უფრო ამცირებენ სოციალისტები პროლეტარიატის მოთხოვნილებათა ფარგალს, იმდენად მეტად ღალატობს პროლეტარიატი სოციალიზმს და ანარქიზმს ითვისებს“-ო. ამ სიტყვების ავტორს და მის ამხანაგებს უნდა გაეგოთ, რომ ვინც ბურჟუაზიულ პარლამენტში მოქმედებს პროლეტარიატის ინტერესების დასაცავად, იგი აუცილებლივ და მუდმივ ღალატობს ამ ინტერესებს. ეს რომ გაეგოთ ამ სიტყვების მთქმელს და მის ამხანაგებს, ანარქიზმს აღარ გაექცეოდნენ, პარლამენტს თავს დაანებებდნენ და თავიანთ ძალღონეს პროლეტარიატის ორგანიზაციას კაპიტალთან პირდაპირ ბრძოლისათვის მოანდომებდნენ. მაშინ ექმნებოდათ ლოღიკური და ზნეობრივი უფლება „რეფორმისტების“ წინააღმდეგ ბრძოლისა. ეხლა კი მათ მიერ ატეხილი აყალმაყალი კომიკურ შთაბეჭდილებას ახდენს.

მართლაც, რას უსაყვედურებენ მართლმორწმუნე მარქსისტები რეფორმისტებს? იმას, რომ რეფორმისტები პარლამენტში ბურჟუაზულ პარტიებს ეკავშირებიან და ამ საქციელით კლასთა ბრძოლის ნაცვლად კლასთა თანამშრომლობის პრინციპს აღიარებენო. ეს სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ განა ამასვე არა სჩადიან „რევოლიუციონერები“? კაუცკი ამბობს: „პარლამენტარულ ბრძოლის დროს ამა თუ იმ კანონის განსახორციელებლად ხშირად მეტი განსხვავება და წინააღმდეგობაა ლიბერალებსა და ბურჟუაზიის სხვა პარტიათა შორის, ვიდრე ლიბერალებსა და სოციალისტებს შორის. ამ შემთხვევაში სოციალისტებმა ლიბერალებთან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი უნდა იარონ“. ასე რომ სრულიად გაუგებარია, რას უსაყვედურებენ მარქსისტები რეფორმისტებს. ორივენი ერთნაირად ღალატობენ კლასთა ბრძოლის პრინციპს რაკი რევოლიუციონერი პარლამენტის სავარძელში ჯდება და თანხმაა სხვა ფრაქციებთან ერთად კანონების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღოს, რაც უნდა წინააღმდეგი იყოს იგი პარლამენტში მყოფ ყველა ბურჟუაზულ პარტიებისა და რაც უნდა პროტესტი გამოაცხადოს ამა თუ იმ კანონის გამოქვეყნების გამო, იგი რევოლიუციონერი უკვე ღალატობს თავისს პრინციპებს და პარლამენტში შესვლისთანავე კომპრომისის ბადეში ეხვევა. საქმე ის არის, რომ კანონების შექმნაში პასუხის მგებელია მთელი პარლამენტი; [illegible] კანონის მოწინააღმდეგეს იგივე პასუხისმგებლობა მიუძღვის ამ კანონის შექმნის და გამოქვეყნების საქმეში, რა პასუხისგებაც მის მომხრესა აქვს. კანონის მოწინააღმდეგე—დეპუტატი ისევე უნდა დაემორჩილოს მას, როგორც მისი მომხრე ემორჩილება, ეს იმიტომ, რომ კანონი არის პარლამენტის მოქმედების აქტი, იმ პარლამენტისა, რომლის არსებობას იწყნარებს „რევოლიუციონერი“. ასე რომ მაშინაც კი, როდესაც სოციალისტურ დეპუტატებს პარლამენტში მხოლოდ ოპოზიციის ხასიათი აქვთ, მაშინაც კი ღალატობენ ისინი კლასთა ბრძოლის პრინციპებს, რადგან ბურჟუაზულ დაწესებულების მიერ გამოქვეყნებულ ანტისოციალურ კანონებს ემორჩილებიან როგორც დეპუტატები, ისე ლეგალისტები.

მაგრამ, მაგარი ის გახლავთ, რომ სოციალისტური დეპუტატი მარტო ოპოზიციურ მოქმედებას არა სჯერდება პარლამენტში. ან როგორ უნდა დასჯერდეს, როდესაც ს.-დემოკრატიის მინიმუმის პროგრამა ადვილად განხორციელდება თვით ბურჟუაზულ პარლამენტის საშუალებითაც. და რაკი იგი მოწადინებულია განახორციელოს თავისი პროგრამა, ამ შემთხვევაში აუცილებლივ უნდა დაეკავშიროს დროებით მაინც ბურჟუაზულ პარტიების იმ ფრაქციას, რომელიც თანაუგრძნობს მის პროგრამას. პარლამენტალური მოქმედება იმ ხასიათისაა, რომ ყველაფერი დამოკიდებულია პარტიათა დაკავშირებაზე. არც ერთი პოლიტიკური პარტია, რაც გინდ ძლიერი იყოს იგი, თავის საკუთარის ძალ-ღონით, სხვა პარტიების დაუხმარებლად, ვერ გაიყვანს ვერც ერთ კანონს. იგი იძულებულია ამისათვის უმრავლესობა შეჰქმნას. და ასეც ხდება ხოლმე ყოველთვის, როდესაც კანონის შექმნა ჰსურთ. და სოციალ-დემოკრატი დეპუტატებიც ყოველთვის და ყველა პარლამენტში ეკავშირებოდნენ ხოლმე არა სოციალისტურ დეპუტატებს უმრავლესობის შექმნისათვის და ყოველთვის და ყველგან ამ შეკავშირებით ღალატობდნენ ისინი კლასთა ბრძოლის პრინციპებს.

(დასასრული იქნება).

კომიტეტი და დეპუტატთა კავშირი. იქ, სადაც ესენი დააპატიმრეს, ნახეს ყუმბარებისა და იარაღის საწყობი.

საზოგადოდ აჯანყებულთ ყველგან სასტიკად ექცევიან. სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზების სარნის სადგურთან გამოკრულია პოდპოლკოვნიკის იაბლონოვსკის შემდეგი განცხადება: „ვთხოვ ჯარს სასტიკი ზომები მიიღოს აჯანყებულთა წინააღმდეგ. ტყვიასა და ხიშტს ნუ დაზოგავთ და შედეგსაც ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ეცადეთ აგიტატორი არსად გააჭაჭანოთ. თუ დეპოდან მუშებმა ორთქლ მავალები არ გამოუშვეს, დაუყოვნებლივ სროლა ასტეხეთ. საღამოსთვის უსათუოდ უნდა დაიწყოს მატარებლების მიმოსვლა. ვიმეორებ—ტყვიასა და ხიშტს ნუ დაზოგავთ. იმ მაშინისტებს, რომელნიც სახელმწიფო ბინებზე დგანან, სამჯერ მიეცით წინადადება სამუშაოდ გავიდნენ. თუ მესამედაც უარს იტყვიან, დაუყოვნებლივ თოფი დაახალეთ, ხოლო იმისი ოჯახი ბინიდან გახიზნეთ. ეს განცხადება ყველგან გააკარით“.

მუშათა რესპუბლიკა. ურალზე, ზლატოუსტის ახლო-მახლო, სადაც მთა-მადნის წარმოებაა, დიდი ამბები მომხდარა და ეხლაც ხდება. ადგილობრივ მუშებს მთავრობის აგენტები გაუდევნიათ და რესპუბლიკა გამოუცხადებიათ. მუშებს გაუდევნიათ აგრეთვე მთა-მადნების ადმინისტრაცია და მთელი საქმე თითონ ჩაუგდიათ ხელთ. ჩაუგდიათ აგრეთვე უზარმაზარი საწყობი ცივ იარაღისა. ჯერ-ჯერობით დაწვრილებით ამბები არ მოსულა ურალიდან და ამ ჟამად არ იციან, რა ხდება იქ.

აგრარული მოძრაობა. გლეხთა მოძრაობა, ეს რამდენიმე ხანია სხვათა შორის, კურსკის მთელ გუბერნიასაც მოსდებია. როგორც ეხლა გამოუანგარიშებიათ, ამ მოძრაობისაგან დაზარალებულა ას ოცდა შვიდი მემამულე, რომელთაც ორ მილიონ შვიდას ათას მანეთის ქონება დაუკარგავთ. ამ ზარალში გაჩეხილი ტყე არ არის ჩაგდებული.

ასევე მოსდებია მოძრაობა პოდოლის გუბერნიას. იქ მემამულეებს გლეხები დაუშინებიათ: უთქვამთ, რომ ავსტრიამ საზღვარზე 200,000 სალდათი დააყენა და თუ პოდოლის გუბერნიაში მოძრაობა გაძლიერდა (ეს გუბერნია ავსტრიის საზღვარზეა), ჯარი აქ შემოვა გლეხების დასასჯელადაო.

გენერალ-გუბერნატორის განკარგულება მეტად უცნაური განკარგულება გამოუცია ვარშავის გენერალ-გუბერნატორს. იმის ბრძანებით აკრძალულია ვარშავის ქუჩებში ჯოხებით, ქოლგებით და ტროსტებით სიარული. ამას გარდა, ამ ცივ ზამთარში, ვარშავის ქალებსაც-კი, არ შეუძლიანთ ხელები ჯიბეში ან მუფტაში ჩაიწყონ.

მოკლულ დაჭრილთა რაოდენობა. ზოგიერთ გაზეთებს უკვე გამოუანგარიშნიათ, რამდენი მებრძოლი დაჰკარგა რუსეთმა 1905 წელს. როგორც ამ ანგარიშიდანა ჩანს, ამ ბოლო, დეკემბრის, გაფიცვის დროს მომკვდარა 2000 კაცი. დაჭრილა 8000 კაცი. ოქტომბრის გაფიცვის დროს მომკვდარა და დაჭრილა სულ 5000 კაცი, იანვრის გაფიცვის დროს (როდესაც პეტერბურგში მუშები ამოწყვიტეს)—3000 კაცი. ორი ათასსაც სხვა ადგილებში მომხდარ შეტაკების დროსა სთვლიან. ამ რიგად ერთი წლის განმავლობაში განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს რუსეთში მოკლულ და დაჭრილ იქმნა ოცი ათასი კაცი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ქვემო მოყვანილ ანგარიშს. 22 ნოემბერს, წარსულ წელს, სახაზინო თეატრში დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ გაიმართა ქართულ ენაზედ საოპერო წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა ოპერა „სევილიელი დალაქი“. მთლად შემოსავალი უდრიდა 1706 მან. 80 კაპ. ამ ფულიდან დაიხარჯა: მარკებზედ 105 მან 70 კაპ., ტანისამოსის შესანახი დირექციამ აიღო 106 მან. 90 კაპ; დანარჩენ 1494 მ. 20 კაპეიკიდან პირობისამებრ დონსკოის მიეცა თეატრის ქირა მესამედი ე. ი. 498 მ. 7 კ.; აკკომპანიატორს რეპეტიციებზედ—24 მან. ოპერის მთარგმნელს ბ-ნ გუნიას 12 მან. თითო მოქმედებაში სამსამი მანეთი. აფიშა და პროგრამმის დაბეჭდვა—12 მან. წერილების დამტარებელს—13 მან.; უფროს კაპელდინერს ბ-ნ კოტლიაროვს ბავშვებისთვის გადასაცემად, რომელთაც პატარა აფიშები დაჰქონდათ ქუჩა-ქუჩა 21 და 22 ნოემბერს—5 მ. დარჩა წმინდა შემოსავალი 930 მან. 13 კაპ. ამასთანავე უნდა ვუწყოთ საზოგადოებას, რომ ამ 930 მან. 13 კაპ. ირიცხება ის 172 მან. 20 კაპ., რომელიც სხვა და სხვა პირთ ჯერჯერობით არ შემოუტანიათ ბილეთის გარდასახადი; ნაღდი ფულიც და ზემო მოყვანილი გასავალთა კვიტანციებიც წარედგინა გაზ. „ვოზროჟდენიეს“ რედაქციას.

წარმოდგენის გამმართველნი მოვალედ რაცხვენ თავიანთ თავს გამოუცხადონ გულითადი მადლობა რუსულ საოპერო დასის არტისტკებს და ქალებს, რომელთაც სურვილი განაცხადეს მიეღოთ მონაწილეობა საკონცერტო განყოფილებაში: ქ-ნ კარრისას, არციბაშევიასს; ბ-ნთ დონსკოის, კოლოტოვს, სოკოლსკის, ევლახოვს და ტომაშევიჩს; უგულითადეს მადლობას უხდის ამავე დასის არტისტს ბ-ნ სლავინს, რომელმაც წარმოდგენას ხელი შეუწყო თავის მონაწილეობით; მადლობას უხდის ბ-ნ კოზლოვის სტამბას, რომელმაც უფასოდ დაბეჭდა პატარა აფიშები, უღრმეს მადლობას უცხადებენ გაზეთებს—„ივერიას“, „ცნობის ფურცელს“ და „ვოზროჟდენიეს“, რომელთაც უფასოდ დაბეჭდეს განცხადება და აგრეთვე სიტყვით თუ საქმით ხელი შეუწყეს საღამოს გამართვას; მადლობა ეცხადებათ ყველას, ვინც ბილეთების ფასთან ერთად შემოსწირა გურულების სასარგებლოდ პრემიაც და მით ხელი შეუწყო საღამოს მატერიალურ წარჩინებას.

პრემიების შემომწირველთა სიასაც მალე ვაუწყებთ საზოგადოებას.

ი. კარგარეთელი

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

3 იანვარი

პეტერბურგი. როგორც ხმები დადის, გენ. რენენკამფს დაავალა გენ.-ადიუტ. ლინევიჩმა სრული მშვიდობიანობა აღადგინოს ჩინეთისა და ზაბაიკალის რკინის გზებზე.

სევასტოპოლში მოვიდა კომისია ადმ. ლიკოვის თავმჯდომარეობით, რომელმაც გამოძიება უნდა მოახდინოს არეულობების შესახებ.—ქალაქში სავსებით უზრუნველყოფილია სიმშვიდე.

3 იანვარს რიგიდან გემით მოსულ მგზავრების გაჩხრეკის დროს, ერთს მგზავრს ოთხი კალათი აღმოაჩნდა არა ლეგალურ ბროშურებით სავსე. ბროშიურები ლატიშურ ენაზე იყო დასტამბული.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 3 იანვარი. პირველი სოც.-დემოკ. „ეჟედნევ. გაზეტ.“ისა აკრიფა პოლიციამ. რედაქტორი დაატუსაღეს. სტამბა დაიხურა დროებით და სტამბის პატრონს ჯარიმა გადაახდევინეს.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ უმაღლესის ბრძანებით მინისტრთა საბჭოში შეაქვთ მეტად საყურადღებო საკითხი სახელმწიფოს ძირითად კანონების შეთანხმებაზე 6 აგვისტოსა და 17 ოქტომბრის საკანონმდებლო აქტებთან; წინასწარი დამუშავება ამ საკითხისა ამ დღეებში გათავდება და საბჭოს სხდომა მოხდება 7 იანვარს თვითონ ხელმწიფის თავმჯდომარეობით. მინისტრთა საბჭოში განხილვის შემდეგ, პროექტი სახელმწიფო საბჭოს გადაეცემა განსახილველად.—სახ. საბჭოს გადაკეთება ზემო პალატად საბოლოოდაა გარდაწყვეტილი. სახელმწიფო საბჭოს, სათათბიროსთან ერთად, ეძლევა უფლება ინტერპელიაციისა, საკანონმდებლო ინიციატივა და ანკეტების წარმოება; საერთოდ, ყველა ის უფლებები, რომელნიც 17 ოქტომბრის მანიფესტმა სათათბიროს მიანიჭა, ენიჭება სახელმწიფო საბჭოსაც. უთანხმოებას სათათბიროსა და სახელ. საბჭოს შორის გაარჩევს, როგორც წინადაც იყო ნავარაუდევი, საგანგებო კომისია, რომელშიც ორივე პალატის წევრები შევლენ. თუ ეს კომისიები ვერ შეთანხმდებიან, მაშინ საკითხი ხელმწიფეს გადაეცემა განსახილველად. ის საკითხები-კი, რომელთაც უარჰყოფს სათათბიროს წევრთა უმეტესობა, არასგზით არ გადავა სახელმწიფო საბჭოში. სახელმწიფო საბჭოს, როგორც ყოველს ზემო პალატას, რჩება შემომკავებელი მნიშვნელობა. სათათბიროში გასული კითხვები უკანვე იქნებიან დაბრუნებული, თუ სახ. საბჭოში არ იქმნენ მიღებული ხმის უმეტესობით. სახელმწიფო საბჭოს წევრების არჩევნების შესახებ, საყურადღებოა წინად ნავარაუდევ საადგილ-მამულო ცენზის შემცირება. წინად განზრახული იყო სახ. საბჭოს წევრობისთვის საერობოზე ათჯერ მეტი, ახლა-კი სამჯერ მეტი მხოლოდ. ყველა საერობო გუბერნიები საგუბერნიო კრებებზე ირჩევა თითო-თითო წევრი: თითო-თითო წევრივე ირჩევა აგრეთვე არა საერობო გუბერნიის კრებაზეც. ყველა სათავად-აზნაურო საზოგადოებები ირჩევენ ორ-ორ წარმომადგენელს თითოზე, რომელნიც თავს იყრიან პეტერბურგში და თავიანთ წრიდან ირჩევენ 18 წევრს სახ. საბჭოში. წარმომადგენელნი სხვა და სხვა სამრეწველო საზოგადოებებისა, ბირჟებისა, საეკონომიო საბჭოებისა, მანუფაქტურ-საბჭოთა განყოფილებებისა და სხვათა თავს იყრიან აგრეთვე პეტერბურგში და ირჩევენ თავიანთ წრიდან 12 წევრს სახ. საბჭოში. უწ. სინოდი 6 წევრს ირჩევს—3 თეთრისა და 3—შავის სამღვდელოებისაგან. კორპორაციის წევრები გამართავენ პეტერბურგში საერთო კრებას და თავიანთ წრიდან აირჩევენ აგრეთვე 6 წევრს; დაბოლოს თვითეული გუბერნია პოლონეთისა ირჩევს 6 წარმომადგენელს, რომელნიც თავს იყრიან ვარშავაში და ირჩევენ თავიანთ წრიდან სახ. საბჭოს წევრებად 6 კაცს.

მიწათ-მოქმედების მთავარ-მმართველმა კუტლერმა შეადგინა საინტერესო პროექტი მიწათმფლობელობის რაოდენობის განსასაზღვრელად. თანხმად პროექტისა მთელი მიწათმფლობელობა სამ კატეგორიად უნდა გაიყოს: წვრილი, საშუალო და მსხვილი, ამასთან თვითეულ კატეგორიის მიწის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს განსაზღვრულს. ყველა ის მიწები, რომელნიც გადარჩება დადგენილს საზღვარს, გამოისყიდება საგლეხო ბანკის მიერ და შეიქნება საადგილ-მამულო ფონდი მცირე მიწიან გლეხთათვის.

პეტერბურგი, 4 იანვარი. ხელმწიფემ 31 დეკემბერს შემდეგის სიტყვით მიმართა მისი უდიდებულესობის კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკს: „ლეიბ-კაზაკებო, ასი წელიწადია, რაც თქვენ მტკიცეთა და ერთგულად ემსახურებით თქვენს მეფეებს—შეფებსა და სამშობლოს, როგორც ომიანობისა, ისე მშვიდობიანობის დროს; როცა უფალმა ასეთი არეული დღეები მოუვლინა რუსეთს, თქვენა და მთელი დონის ჯარი პატიოსნადა, ერთგულებითა და უმწიკვლოდ მემსახურებით მე და რუსეთს. თქვენის სახით მადლობას ვუთვლი დონის კაზაკებს, და ყველა თქვენ-კი, ჩემს ერთგულს კაზაკებს, გულითადი მადლობა სამსახურისთვის. ბატონო აფიცრებო, სულითა და გულით გმადლობთ თქვენ თქვენის კარგისა და სამაგალითო სამსახურისათვის. ნიშნად ჩემის კეთილ სურვილებისა ჯარისა და პოლკისადმი, თქვენის პოლკის კამანდირს ვრიცხავ ჩემს ამალაში, ჩემის ასეულის უფროსს-კი ვნიშნავ ჩემს ფლიგელ-ადიუტანტად.

ლონდონი, 3 იანვარი. არჩევნების შედეგი ლონდონში ამტკიცებს, რომ ლიბერალებმა ისეთი ძალა მოიცეს, რაიც არ უნახავს კაცს გლადსტონის დროის ლიბერალურ მოძრაობის შემდეგ. საღამოს 9 საათზე ამორჩეულ იქნა 103 ლიბერალი, 30 უნიონისტი, 21 მუშა და 37 ირლანდიელი ნაციონალისტი. ლიბერალებმა შეიძინეს 49 ადგილი, უნიონისტებმა ერთი, მუშებმა—16. კონსერვატორი უნიონისტები მოუწოდებს ამომრჩევლებს, იხსნან ასეთი მდგომარეობა. კონსერვატიული გაზეთები და ლიბერალების ერთი ნაწილი ძლიერ სწუხან სოციალისტების გაძლიერების გამო არჩევნებზე.

იოკოჰამა. მიმდინარე წელს ინგლისს აღარ ინახულებს იაპონიის ფლოტი ტოგოს მეთაურობით.

ვენა. მოსამართლეების არჩევნების დროს ჰუნგრეთის სოფელ ვილკეში მცხოვრებლები, აღელვებულები საძულველ კანდიდატის არჩევით, მიცვივდნენ და იერიშით უნდოდათ სოფლის სამმართველოს აღება, მაგრამ ჟანდრებმა მოუსწრეს და არ დაანებეს.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

4 იანვარი.

ალჟერ-სირასი, 31 დეკემბერი. დღეს პირველი სხდომა მაროკოს კონფერენციისა გახსნა ელჩმა როდოვიცმა, შემდეგ თავმჯდომარეობა გადაეცა ჰერცოგ არმოდოვარს, რომელმაც სთქვა, რომ მაროკოში მშვიდობიანობისა და წესიერების გამეფებაში დაინტერესებული სახელმწიფოები ერთსულად აღიარებენ, შემოღებულ იქნას მაროკოში რეფორმები შემდეგს სამს პრინციპზე: სულთანის სუვერენიტეტი, მისი სამფლობელოს მთლიანობის დაცვა და ღია კარების შენახვა. ახლა საჭიროა ერთად ვისჯა-ბაასით, რა გზით უნდა განვახორციელოთ ის ზომები, რომელნიც ყველაზე უფრო საჭირონი არიან და ამასთანავე ადვილად განსახორციელებელნიც.

პეტერბურგი, 4 იანვარი. გრაფ სოლსკის განსაკუთრებულ საბჭოში 5 იანვარს განიხილავენ კავკასიაში საარჩევნო წესების შემოღებას სოციალდემოკრატიულმა პარტიამ მოწოდება გამოსცა, რომელშიაც ის იწვევს მოქალაქეთ, ჩაეწერონ საარჩევნო სიაში და მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო კრებებზე.

ლიბავა, 3 იანვარი. გრობინსკოში საველე სასამართლო შევიდა ძალაში, დახვრიტეს თავის ნებაზე არჩეული მამასახლისი გრობინსკის ვოლოსტისა ნამირი.

ყაზანი. სამოსამართლო პალატამ დაადგინა, აღარ შეაჩეროს „ვოლჟ. ვესტნიკ“-ის გამოცემა, რომლის რედაქტორი პასუხის გებაში მისცეს, ახალ-წლის ნომრის შემდეგ.

ლონდონი, 4 იანვარი. როგორც მიღებულ ცნობებიდან სჩანს, ამორჩეულია 164 ლიბერალი, 24 მუშა, 52 უნიონისტი. ლიბერალებმა დღემდე 65 ადგილი მიიგეს, მუშებმა—21.

ჯარვენდი. მაზრაში გაძლიერებულ დაცვის წესები გამოცხადდა.

კანეია. კუნძულის სახალხო კრებაზე არჩევნებს ჯერ კარგი პირი უჩანს. გეორგი ობოლისა და კამბანში დიდი არეულობა მოხდა, საქმეში ჩაერია ჟანდარმერია და იტალიის ჯარი. არის რამდენიმე დაჭრილ-მოკლული.

პეტერბურგი, 4 იანვარი. პეტერბურგში ჩაწერილ ამომრჩეველთა საზოგადო რიცხვი 28,346-ია, 3 იანვარს იავორსკის ახალს თეატრში, პიესა „გრაფინია იულია“-ს რეპეტიციის დროს, დაატუსაღეს სოციალდემოკრატი ემიგრანტი დეიჩი, რომელიც ამას წინად დაბრუნებულა საზღვარ-გარეთიდან.

წიგნის გამომცემელთა კავშირი დაიშალა, რადგანაც ვერ შეთანხმდნენ იმ საკითხში, განაგრძონ თუ არა უცენზუროთ წიგნების გამოცემა.

ჰელსინგფორსი, 4 იანვარი. სენატის მიერ დანიშნულმა კომისიამ სეიმის რეორგანიზაციის შესახებ, 22 ოქტომბრის მანიფესტის თანახმად, დაადგინა შემოღებულ იქმნას ერთპალატიანი სისტემა; ამავე კომისიამ, 8 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 6-სა, გადასწყვიტა საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება ორივე სქესისა,—როცა 21-წლისანი შეიქმნებიან.

კიევი, 4 იანვარი. კიევში მშვიდობიანობაა. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ერთ-ერთ მოსამსახურეთაგანის ბინაზე იპოვნეს დაჭრილი აფიცერი, რომელიც მონაწილეობას იღებდა 18 ნოემბრის სამხედრო აჯანყებაში. პროფესორთა საბჭომ, წინააღმდეგ ერთის ხმისა, გადასწყვიტა, გახსნას უნივერსიტეტი იანვარში.

რიგა, 4 იანვარი. გამოქვეყნდა ლიფლიანდიის გუბერნატორის განცხადება, რომლითაც ვალად ედება ყველას, ვისაც არა აქვს ნება იარაღის ტარებისა, ჩააბაროს იგი მთავრობას ვინც არ დაეთანხმება ამ განკარგულებას, და ვისაც იარაღი აღმოაჩნდება, შეამოხედ ჩითვლება მას სამხედრო წესების მიხედვით გაასამართლებენ და ქონებას წაართმევენ.

პარიზი, 4 იანვარი. რესპუბლიკის პრეზიდენტათ აირჩიეს ფალიერი, 449 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 27-ისა.

პეტერბურგის ბირჟა 4 იანვარი 1906 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში.	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,70
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	$5^1/_4$—$7^1/_2$
4% სახელმწიფო რენტა	$87^1/_8$
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	$85^1/_2$
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	$451^1/$
5% მე-2 შინ. ეს. მოგ. ბილ. 1866 წ.	$346^1/_2$
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	280
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
$4^1/_2$% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
$4^1/_2$% გირვ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
ს. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	200

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქართველ მკითხველ მგზავრების საყურადღებოდ

სადგურ მიხაილოვის ბილეთის კასაში იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

1. „ცხოვრება და სიყვარული“, თანამედროვე რომანი 320 გვ., ფასი 40 კაპ.
2. „ვარინკას ამბავი“, თანამედროვე მოთხრობა, 100 გვ. ფასი 20 კაპ.
3. „ოჯახის და საკუთრების წარმოშობა-განვითარება“, პროფეს. კოვალევსკისა, ფასი 20 კაპ.
4. „ლექსები და პოემები“, ჩარხიშვილისა, 120 გვ., ფასი 15 კაპ.
5. „რამდენ მილიონ მანეთს ჰკარგავს იმერეთი სწავლისა და მეურნეობის მოუწყობლობით“, ართმელაძისა, ფასი 10 კაპ.

ვინც ყველას ერთად იყიდის ან გაიწერს, მანეთად დაეთმობა. შეიძლება მარკებითაც და სხვა წიგნებზე გაცვლითაც.

მისამართი: Ст. Михайловъ кассиру Чархишвили. (4—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—23).

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისთვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

მანუფაქტურისას

პეტერბურგში,

1860 წელს

[illegible] ინის კალოშების

[illegible] ლანჩა, [illegible]

[illegible] მიაქციონ კა-

რხნის ნიშანს,

[illegible]

ბის დაარსების წელიწადს

„1860“ და სიტყვას

„С.-Петербургъ“

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანი).

[illegible]

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.